# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 1 მარტი 2003 №35 (1806) — ფასი 50 თეთრი





# ფედერაციამ რკინიგზას ირლანდია, შვეიცარია და რუსეთი აჰკიდა

გაუმარჯოს ქართულ ენერგეტიკას, ყველაზე საიმედოს მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს ქართულ პოლიციას, რომელიც დღედაღამ მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს!

გაუმარჯოს ქართულ სანიტარიას და იდეალურ სისუფთავეს, სხვაგან სანთლით რომ ეძებოთ და ვერ იპოვით, ისეთს!

ვაშა!

ხოლო შენ, ქართველო ქომაგო, იცოდე, რომ თუ აქამდე ყველაფერი წესრიგში არ იყო, სტადიონზე შუქი გიქრებოდა და ჭყლეტაში ყვებოდი, ხალხის მტრების და ათასი ჯურის მავნებლების ბრალი იყო, თორემ შენი მთავრობა, პოლიცია და საფეხბურთო მატჩების ორგანიზატორები გიცავენ შენ!

ორგზის ვაშა!

და თუ ვაშას დაძახებამდე მავანი ურწმუნო თომა შენიშნავს, რომ სახელმწიფო კომისია ყველაფერზე მსჯელობს უმთავრესი პრობლემის გარდა, უამისოდ კი არაფერი მოგვარდება, სახელმწიფო კომისია მოგიგებთ: გვაცალეთ, ბატონო, მუშაობა.

ეს საქართველოა და აქ ასე მუშაობენ. საქართველო პატაკების ქვეყანაა და ამ პატაკებით ყველაფერი რიგზეა. მართალია, ხანდახან გამორევა-ხოლმე ასეთი ფრაზაც: ტრიბუნების მისადგომებთან წესრიგის დამცველებთან ერთად გასაღებიან თანამშრომლებსაც დავაყენებთ, ბილეთიანთა შეშვება რომ არ გაძნელდესო. შენ კი, ქომაგო, გიკვირს, თუ ჭიშკარი ჩაკეტილია და გასაღებიანი კაცი სადღაც დაბოდიალობს, რა საჭიროა ჭიშკარი ან მასთან ატუზული წესრიგის დამცველი — მაგრამ იდეალურად შედგენილ ამ პატაკს ასეთი წვრილმანების გამო ნუ გამოვკვლდავებით.

მეორე პატაკი კი ღაღადებს, რომ სტადიონის გენერატორი გამოცდილ, პროფესიონალ სპეციალისტებს მიაბარეს. აქაც გიკვირს, იმ შავ 12 ოქტომბერს რატომ არ მიაბარეს გენერატორი გამოცდილ პროფესიონალს და გული შიშით გისკდება: ეგებ სახელმწიფოს და ფეხბურთს მართავენ ადამიანები, რომლებმაც აქამდე არ იცოდნენ, რომ გენერატორთან ისეთი კაცი უნდა დააყენო, რომელსაც ჩართვა-გამორთვა შეუძლია? მაგრამ ნურც ამ წვრილმანისთვის მოვცხებთ ჩირქს სპეტაკ პატაკს.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, გუშინ სახელმწიფო კომისიის სხდომაზე ითქვა, კომისია კი, შეგახსენებთ, იმიტომ შეიქმნა, საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებისას 12 ოქტომბერს მომხდარის გამეორება რომ აღეკვეთა.

ისე არ გაინტერესებთ, სად უმასპინძლებს ნაკრები მეტოქეებს? იტყვით, ცხადია, „ლოკომოტივზე“, ფედერაციამ ხომ სწორედ ეს სტადიონი დაუსახელა უეფას მასპინძელ არენადო. კი, დღეს ზუსტად ერთი თვე გადის, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უეფასადმი გაგზავნილ ოფიციალურ წერილში საქართველო — რუსეთის მატჩის გადათამაშების ადგილად ვაკის პარკში მდებარე სტადიონი წერია, მაგრამ „ლოკომოტივის“ მეპატრონეს აღარ ჰკითხავთ? მეპატრონე კი დღემდე აცხადებს, სტადიონის იჯარაზე ფედერაციის მიერ შემოთავაზებული პირობები ჩემთვის კაბალურიაო და კონტრაქტის ასეთი სახით გაფორმებას უარობს. ფედერაცია კი გვარწმუნებს, შეთანხმებას რა უნდაო და ამ იმედით წინასწარ აფრინა წერილი უეფაში.

საქმიანი ხალხი ასე არ იქცევა, უფრო სწორად, საქართველოს ნაირი ქვეყნების გარდა არსად იქცევა, საქართველო კი რა ქვეყანაცაა, მოგეხსენებათ.



# არველაძე კიოლნთან განშორებას აპირებს

## მაჩანჩალა არ ვიქნები

*წელიწადზე მეტს მოუნდა არჩილ არველაძე მუხლზე გაკეთებული ხრტილის გადანერგვის ოპერაციის შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდს. მეორე ბუნდესლიგის ლიდერ „კიოლნის“ ქართველი ახლა სრულ მზადყოფნაშია და ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემადაც მოიცალა*



**— „კიოლნის“ პირველი გუნდის ძირითადში როდის დაბრუნდები?**

— არ ვიცი. ახლა რეგიონლიგა განახლდა, სადაც „კიოლნის“ მეორე გუნდი თამაშობს და, შესაძლოა, პირველივე მატჩში ვითამაშო.

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი მატჩი 29 მარტს აქვს ირლანდიასთან. როგორ ფიქრობ, იქამდე შეძლებ თავი მოაწონო ალექსანდრე ჩივაძეს?**

— ჩივაძემ ჩემი დადებითი და უარყოფითი მხარეები კარგად იცის. ნაკრებში ამ მატჩისთვის გამოძახებაზე კი რა გითხრათ — ჯერ უნდა ვითამაშო და მწვრთნელმა უნდა ნახოს, ამას როგორ ვახერხებ. თავს ახლა კარგად ვგრძნობ. ამხანაგურ მატჩებში თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდი, ვგრძნობ, ლიდიოდეე უკეთ ვარ.

**— „კიოლნის“ პირველი გუნდის თავდასხმაში ახლა რომელი ფეხბურთელები გამოირჩევიან?**

— ძალიან კარგად თამაშობს მათიას შერფი, თუმცა ის უფრო მარჯვენა ფლანგიდან უტევს. ცენტრში მარკუს კურტი და ფრენსის კიევო მოქმედებენ. კიევო მანამდე „ფიურტში“ თამაშობდა, თუმცა ის „მიუნხენ 1860“-ის საკუთრებაა და ჩვენთან იჯარითაა. მე კი მეუბნებიან, ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის ფეხბურთელი გვჭირდება და ასეთად შენ გვეგულებიო, მაგრამ...

**— მაგრამ შეიძლება ასე არ მოხდეს და „კიოლნიდან“ წახვიდე?**

— კონტრაქტი „კიოლნთან“ ზაფხულამდე მაქვს და მერე რაღაც გამოჩნდება.

**— გამოდის, რომ „კიოლნში“ დარჩენით მაინცდამაინც დაინტერესებული არ ხარ. რატომ?**

— იმიტომ, რომ აქ მაინც უფრო სხვანაირ, დაცვით ფეხბურთს თამაშობენ. მე კი იქ მინდა თამაში, სადაც უპირატესობას შეტევას ანიჭებენ.

**— ერთი სიტყვით, გერმანიაში თამაში აღარ გინდა?**

— არ გამოვრიცხავ, ისევ გერმანიაში დავრჩე. უკვე ამდენი ხანია, გერმანიაში ვარ და ერთი ხელის მოსმით აქაურობის დატოვება ადვილი არაა. მაგრამ თუ სხვა ქვეყნის კლუბი გამოჩნდა და ჩემს იქ გადასვლაზე სერიოზული ლაპარაკი იქნება, წავალ.

**— გასაგებია, მაგრამ თუ მწვრთნელი გეუბნება თავდამსხმელების უკან გვჭირდებიო, საქმეს წინ რაღა უდგას?**

— ამას კი მეუბნებიან, მაგრამ როცა სათამაშოდ გავდივარ, ხანდახან ჩემგან საყრდენ ნახევარმცველად თამაშსაც კი მოითხოვენ. როცა 60 პროცენტი დაცვითი ფუნქციების შესრულება მიწევს, ეს ჩემ ძალებს აღემატება. საქმე აქეთ-იქით სირბილზე კი არაა, უბრალოდ, შემტევი ვარ და მეტოქის კარიდან შორს თუ ვიქენი, მაშინ რაღა თავდამსხმელი ვარ?

**— ამას წინათ „კიოლნმა“ გერმანიის თასზე 0:8 წააგო მიუნხენის „ბაიერნთან“. გერმანულ პრესაში „კიოლნზე“ ისიც ითქვა, ასეთი გუნდი უნდა აღზევდეს ბუნდესლიგაშიო?**

— ფეხბურთში ასეთი რამეები ხდება. აგერ „ლევერკუზენი“ ავიღოთ — როგორ თამაშობდა ეს გუნდი წინა სეზონში და რას წარმოადგენს ახლა.

**— ამას წინათ 30 წლის გახდი. ახლა ფეხბურთს მაღალ დონეზე კარგა ხანს კი თამაშობენ, მაგრამ შენ ხუთი ოპერაცია გაქვს გადატანილი — შეძლებ 35-36 წლამდე თამაშს?**

— ფეხმა თუ გამიშვა, რატომაც არა. სიბერეს ჯერ არ ვგრძნობ და ალბათ, რამდენიმე წელიწადი არც შემაწუხებს. უტვინო ფეხბურთელი ნამდვილად არ ვარ, რომ ასაკს ტექნიკისა და გამოცდილების ხარჯზე ვერ ვაჯობო. ასე რომ, მაჩანჩალა არასდროს ვიქნები, მთავარია, ჯანმრთელობა.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

I დივიზიონი. XXXIV ტური

როტერჰემი 1:2 შეფილდ იუნ.

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIX ტური

ნიცა 1:1 ნანტი

II დივიზიონი. XXVIII ტური

გრენობლი 0:1 ლავალი

სენტ ეტიენი 2:0 ნიორი

### პორტუგალია

I ლიგა. XXIV ტური

მარიტიმუ 1:1 სანტა კლარა

### ბელგია

I დივიზიონი. XXIV ტური

ლუვიე 2:2 გენკი

სენტ ტრუიდენი 0:1 სტანდარდი

### თურქეთი

სუპერლიგა. XXII ტური

ფენერბაჰჩე 2:0 მალათია

### იტალია

სერია B. XXIV ტური

ტერნანა 1:0 ანკონა

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

ბრაუნშვაიგი 1:1 ფიურტი

მაინცი 1:1 ზანკტ პაული

ვალდჰოფი 0:0 როიტლინგენი

აინტრახტი 2:1 კარლსრუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXI ტური

ოსნაბრიუკი 3:2 ლევერკუზენი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XXIII ტური

ელვერსბერგი — ბაიერნი (მ) გადაიდო

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXII ტური

როზენდალი 1:0 ტილბურგი

გრააფსხაპი 1:1 როდა

II დივიზიონი. XXII ტური

ჰაარლემი 1:0 ოსი

სპარტა 0:4 ვოლენდამი

იგლსი 1:2 ემენი

დორდრეხტი 1:1 ტელსტარი

ვეენდამი 1:3 ჰელმონდი

დენ ბოსხი 2:0 ჰერაკლესი

„ქოჯაელისპორი“ უმაღლეს ლიგას ბრჭყალებით ებღაუჭება. შინ „ბეშიქთაშთან“ და სტუმრად „სამსუნსპორთან“ მარცხის შემდეგ „ქოჯაელი“ გასულ შაბათს „ბურსასპორს“ უნდა შეხვედროდა. მატჩი უამინდობის გამო გადაიდო და დაუნდობელმა კალენდარმა ბოლო ადგილზე მყოფ გუნდს ახლა გამოსაცდელად „გალათასარაი“ გაუგზავნა.

ფატიჰ თერიმის „გალა“ საჩემპიონოდ იბრძვის და ზამთრის შესვენებისას ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. „ფენერბაჰჩედან“ ჰაიმ რევივო გადაიყვანა, „ლივერპულიდან“ კი — აბელ შავიერი. თუ „ქოჯაელს“ ლიგაში დარჩენა სწადია, დღეს ქულა მაინც უნდა აიღოს, რაც საკმაოდ რთული იქნება. გიუვენჩ ქურთარი ამ მატჩისთვის ერთი კვირაა, ემზადება. მწვრთნელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „გალას“ პრესინგი შესთავაზოს და მეტოქე მოედნის ნების-

# თურქულ-ქართული დავლური

## დიდავას დავალა დააავადლეს, ქემოკლიძეს — ლუკუნკუ

მიერ კვადრატში მოახრჩოს. თან ისიც დაადგინა, ვინ-ვის „აიყვანს“.

ფეხბურთელთა დაწყვილების შემდეგ გივი დიდავას უმით დავალა ერგო, რევაზ ქემოკლიძეს „გალას“ შავ-შავი ლეგიონერი ლუკუნკუ, ხოლო გია იმედაძე თუ ძირითადში ათამაშეს, აბელ შავიერის შელებილი თავ-პირის ახლოდან ნახვა ხშირ-ხშირად მოუწევს. ეს ქურთარისეული ჩანაფიქრია და მწვრთნელი მატჩის წინ გადაჭრით აცხადებს, რომ სამ ქულას გეგმავს. ასე ამბობდა იგი „ბეშიქთაშამდე“ და „სამსუნამდეც“. რა გამოვა მისეული ტაქტიკიდან, დღეს საღამოსვე გამოჩნდება.

აი, რა ბრძანა ქურთარმა: „უკან დასახევი გზა არ გვაქვს. 13 ქულით ბოლო ადგილზე მყარად ვსხედვართ. ყოველ მომდევნო მატჩს ჩვენთვის ოქროს ფასი აქვს. მეტოქის ძალა ვიცით, მაგრამ არ შევეპუებით, ნამდვილ ბრძოლას გავუმართავთ. სამი ქულა დღეს ალბათ ისე არავის სჭირდება მსოფლიოში, როგორც ჩვენ. სპონსორები ვნახეთ, ფული გაგვიჩნდა, გულშემატკივარი მხარში გვიდგას და ვერ ვუღალატებთ. ამ საღამოს სულ სხვა „ქოჯაელისპორს“ იხილავთ. „გალას“ დამარცხება ძალგვიძს და ელოდეთ პატარა სასწაულს“.

**გაგა ხუციშვილი**

# დინამოს სამი დააკლდა

**კვიპროსული** და ბოსნია-ხორვატიული შეკრებიდან დაბრუნებულ თბილისის „დინამოს“ დროებით სამი ფეხბურთელი დააკლდა.

მეკარე ირაკლი ზოიძე 25 თებერვალს ყიფიანის თასის მეთექვსმეტედფინალში „მცხეთასთან“ მატჩისას დაშავდა. ის კარის ძელს ზურგით დაეტაკა და მაშინვე შესაცვლელი შეიქნა. ზოიძეს ძვლების დაჟეჟილობა აქვს და ამჟამად მკურნალობს. ექიმები მას ვარჯიშის ნებას არ აძლევენ, თუმცა ამბობენ, ზოიძე გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდებაო.

ტვინის მსუბუქი შერყევა აქვს თავდამხსმელ ირაკლი სამხარაძეს და რა თქმა უნდა, ისიც იძულებით ისვენებს. გუშინწინდელი ვარჯიშისას ირაკლი თანაგუნდელს შეეჯახა, თითქოს არაფერიო, მაგრამ გუშინდელი მოთელვისას ფეხბურთელმა თავი შეუძლოდ იგრძნო, ექიმებმა ის მაშინვე გასინჯეს და დიაგნოზიც დაუდგინეს. სამხარაძეს ერთკვირიანი უქმობა ელის.

დაახლოებით ათი დღე დაისვენებს „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლადო ბურდული. ლადო, ალბათ იცით, ბოსნიური შეკრებისას დაშავდა და ამის გამო მოლდოვასთან სანაკრებო მატჩიც გამოტოვა. თავდაპირველი დიაგნოზით ბურდულს კუნთი ჰქონდა დაზიანებული და სამ-ოთხდღიანი მკურნალობის შემდეგ ვარჯიში ინდივიდუალურად განაახლა. თბილისში დაბრუნებული კი გუნდს შეუერთდა, ყველაფერი კარგად იყო, თუმცა ვარჯიშისას ფეხბურთელი ტკივილმა ისევ შეაწუხა. „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, აღმოჩნდა, რომ ლადოს მარჯვენა ბარძაყის კუნთი ჰქონია გაწყვეტილი. ბურდული ჩემპიონატის განახლებამდე ვერ ითამაშებს. იქამდე კი „დინამოს“ თასის მერვედფინალური მატჩები ელის.

**კობა ინასარიძე**



ირაკლი ზოიძე



თბილისის „დინამოში“ ძეობაა. გუშინ ცქნაფა გივიკო მოევლინა ქვეყანას — ლადო ბურდულს ვაჟი შეეძინა. ათგზის ჩემპიონთა და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი შარშან დაქორწინდა მედეა მახარაძეზე, ახლა კი წყვილს პირველი შვილის შეძენის ბედნიერება ეწვიათ, რასაც სარბიელელები გულითადად ვულოცავთ.

# კორღალიძემ სოკოლი იშარა

## პირველს პრემიერლიგა ჯობიაო

**რუსული** პირველი ლიგის ბინადარი „სოკოლი“ ლატვიური „სკონტოს“ ნახევარმცველ ლევან კორღალიძით დაინტერესდა. იანვარში თანამეგობრობის თასის დასრულების შემდეგ ჩვენებურით ერთი-ორი რუსული კლუბიც მოიხიბლა, თუმცა მაშინ საქმე წინ არ წასულა.

ახლა კი საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას „სკონტომ“ რამდენიმე ამხანაგური მატჩიც გამართა და კორღალიძეს მსურველიც უმალ გამოუჩნდა. ქართველ ნახევარმცველს სწორედ „სოკოლთან“ სპრინტ-მატჩში უთამაშია გამორჩეულად, რისთვისაც „სკონტოს“ თავკაც ალექსანდრ სტარკოვისგან შექებაც დაუმსახურებია. მატჩისშემდეგ კი რუსებს რიგელებთან ჩვენებურზე ჩამოუგდიათ სიტყვა, თუმცა ბალტიისპირელებმა ეს წინადადება შორს დაიჭირეს.

— „სოკოლის“ ვარიანტი არც ისე მხიბლავს. თან პირველი ლიგის გუნდია და ამიტომ თავს ვიკავებ, პრემიერლიგის რომ ყოფილიყო, სხვა საქმეა. ისე, რუსები უკვე „სკონტოს“ თავკაცობამაც უარით გაისტუმრა. არა მგონია ლატვიელებმა ამ სეზონში სადმე გამიშვან. ჩემპიონატს აქ ჩავამთავრებ და მერე ალბათ, უკეთესი ვარიანტიც გამომიჩნდება — გვითხრა გუშინ ლევან კორღალიძემ სატელეფონო საუბრისას.

აქვე გეტყვით, რომ კორღალიძემ შეკრებაზე მიღებული ტრავმის გამო ერთი საკონტროლო მატჩი გამოტოვა, თუმცა ქართველი ფეხბურთელი ახლა ჯანმრთელადაა და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

**კახა ზალამბერიძე**

რეკლამა სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჯერ არის სიტყვა

## ჩოლარიას ფინტები: ყველაფერი და არაფერი რკინიგზას

*ასაკი რომ უწყობდეს ხელს, სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია მოედანზეც გამოამჟღავნებდა საფეხბურთო მარიფათს. ჩოლარია გუშინ გამობრძმედილი, ეშმაკი ფორვარდივით დაუძვრა მოწინაღმდეგეს „ლოკომოტივზე“...*

*გენერალური მდივნის ეფექტურ გაქცევას სახელმწიფო კომისიის ერთსაათიანი „მუშაობა“ უძღოდა წინ*



ვალერი ჩოლარია



აკაკი ჩხაიძე

### საქმიანიერიანი ჩინოსნები

12 საათისთვის შეიკრიბნენ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზთან, ბოლოს რკინიგის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძეც მოვიდა, როგორ არის საქმეო, იკითხა. არაჩვეულებრივადო, მიუგო სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ საკითხთა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე მერაბ ჯაფარიძემ. გუშინდელ შეხვედრას სწორედ იგი ხელმძღვანელობდა. ნაღდ თავმჯდომარე თედო ისაკაძეს კი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ჰქონდა, ავსტრიაში იმყოფებოდა.

ჯაფარიძემ გაზეპირებული სცენარით წაიყვანა სხდომა — სხვადასხვა ინსტანციის წარმომადგენლების ანგარიში მოისმინა. ამათაც სხაპასხუპით „უპასუხეს უფროსსა“. მიუხედავად მოპატაკეთა საიმედო ტონისა, გაირკვა, რომ ირლანდიის ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე, ფაქტობრივად, ჯერაც არაფერი გარკვეულა.

ითქვა, რომ ძირითადი პრობლემა ენერგო მომარაგებას უკავშირდება. ამ მხრივ ჯერაც არ შედგენილა სათანადო დოკუმენტაციები, თუმცა რკინიგზის დეპარტამენტის გამოცდილი ენერგეტიკოსი გურამ ჯავახაძე ირწმუნება, რომ სტადიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ყველაფერი იდეალურადაა: „ბაგების ქვესადგურიდან ექვსკილოვატიანი კაბელებით კვების მეორე წყარო შემოვიყვანეთ. ამრიგად, სტადიონს ორი დამოუკიდებელი კვება აქვს. ბაგების ქვესადგური ერთ-ერთი საიმედოა, რადგან ლისის ქვესადგურზეა მიბმული და თუ არ აფეთქდა, ყველაფერი რიგზე იქნება. თუ დაიქცა ქვეყანა და დენის მოწოდება შეგვიწყდა, 6-10 წამში ავტომატურად ჩაირთვება გენერატორები, რომელთა სრული დატვირთვით მუშაობა ხუთ საათსაა შესაძლებელი. გენერატორები გამოცდილ, პროფესიონალ ენერგეტიკოსს ჩავაბარეთ. მოკლედ, განათების მხრივ პრობლემა არ იქნება“ — ეს თქვა ჯავახაძემ და ისიც დაამატა, ელექტროენერგიაზე პასუხისმგებელი მე ვარო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, მიუხედავად ასეთი იდეალურობისა, ენერგეტიკის სამინისტრო საპროექტო მასალებს ელის — საბუთების მომზადებას კი ორ კვირაზე მეტი სჭირდება. ჯავახაძის ნათქვამს აკაკი ჩხაიძემ ასეთი წინადადება მოაყოლა — საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლას ორი თავი არ სჭირდება, ამიტომ თელასმა ტრანსფორმატორი ჩვენ გადმოგვცესო. თელასელთა პოზიცია ამასთან დაკავშირებით უცნობია, რადგან ასეთ მასშტაბურ თავყრილობაზე იგნასიო ირიბარენმა წამლად ერთი კაციც არ გამოუშვა. სიტყვამ მოიტანა და, ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ თელასი რუსეთთან ჩაშლილი მატჩის პასუხისმგებლობასაც იხსნის თავიდან და, შესაბამისად, ზარალის ანაზღაურებაზეც უარსაა.

ჯაფარიძემ გუშინ სტადიონის მდგრადობაზეც მოისმინა ანგარიში. ითქვა, მიწისძვრამ ბზარები კი დატოვა, მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, საშიში არაფერია, ტრიბუნები მყარადაა და ამ მხრივ საფრთხე გამორიცხულიაო.

სანიტარული ზედამხედველობის ანგარიშიც არცთუ უნუგეშო იყო — ყველა სამუშაო ჩავატარეთ, მცირე შენიშვნები გვაქვს და სტადიონის დირექცია ამას მალე მოაგვარებსო.

ისაუბრეს ალტერნატიულ სამანქანო გზაზეც — ვაკის პარკის გავლით. ერთ კვირაში პასუხი მექნებაო, თქვა ამასთან დაკავშირებით საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

— მატჩის დროს შინაგან ჯარს პირველ რიგში თუ დასვამთ, ყველაფერი რიგზე იქნება. წინასწარ შემუშავებული გეგმით სტადიონის შიდა და გარე პერიმეტრი სანიმუშოდ იქნება დაცულიო — განაცხადა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძემ. სალაძემ ისიც თქვა, კარგი იქნება, თუ ტრიბუნების მისადგომ კარებთან წესრიგის დამცველებთან ერთად გასაღებიან თანამშრომლებს დავაყენებთ, რადგან ბილეთიანთა შეშვება არ გაძნელდესო. ამასთან დაკავირებით ჩხაიძე სულაც ევროპულ სტანდარტებს შეეთამაშა — მალე ბილეთების შემოწმების ავტომატურ სისტემას დავაყენებთ, მოვა კაცი ბილეთით სტადიონზე, ავტომატში გაატარებს და უპრობლემოდ მიაღწევს თავის ადგილამდეო.

ამის შემდეგ ფედერაციის წარმომადგენელთა მოხსენების ჯერი დადგა და ის, ვინც ჩოლარიას მოსასმენად მოემზადა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. გენერალურ მდივანს ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი აკაკი ჩხაიძესთან, მაგრამ მოულოდნელად სფფ-ის უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელ მამუკა კვარაცხელიას და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოს სიხოვა აზრის გამოთქმა. კვარაცხელიამ „ლოკომოტივზე“ მედიელთა გაუსაძლის პირობებზე ილაპარაკა და ბევრი შენიშვნაც მისცა სტადიონის დირექციას. მილჩენკომ კი შევრცხვებით, უცვას დაიკვირვებელმა თუნდაც პლასტმასის ბოთლიანი ქოძაგი რომ იხილოს სტადიონზეო. მილჩენკოსვე რეკომენდაციით, მატჩამდე ორი დღით ადრე გენერალური გამოცდა უნდა მოეწყოს განათებასთან და გენერატორებთან დაკავშირებით. ეს იყო და მერაბ ჯაფარიძემ თქვა, დავიშალოთ, 15 მარტს შევიკრიბოთ და ყველამ წარმოადგინოს ხელმოწერილი დასკვნებიო. მერე ვილაცას გაახსენდა, 15 მარტი შაბათია და 14-ში შევიკრიბოთო.

ჰოდა, ვისაც ამ კომისიის შრომისუნარიანობა აინტერესებს, 14 მარტს 12 საათზე „ლოკომოტივზე“ მივიდეს.

ბოლოს ჩოლარიას ფინტზეც ვთქვათ — ხალხი სკამებიდან წამომდგარი არ იყო, რომ სფფ-ის გენერალურ მდივანს უკვე დაეტოვებინა „ლოკომოტივის“ სტადიონი. ჟურნალისტები ჩინოსანთა შორის ამაოდ დაეძებდნენ ჩოლარიას, მასთან შეხვედრის სურვილი რკინიგზელებსაც ჰქონდათ. გასარკვევი კი უმთავრესი იყო — ხელშეკრულება „ლოკომოტივსა“ და ფედერაციას შორის.

როგორც იცით, ჩოლარიამ გუშინწინ ჟურნალისტთათვის დღემდე გასაიდუმლოებული ხელშეკრულების პროექტი წარუდგინა ჩხაიძეს და ჩვენთან საუბარში ისიც თქვა, თუ რკინიგზელებმა ამ საბუთს ხელი არ მოაწერეს, ჩვენ თვითონ მივხედავთ ყველაფერსო. აკაკი ჩხაიძეს ჩოლარისეული ხელშეკრულება რომ არ მოსწონს, ამას რკინიგზის დეპარტამენტის შეფის კომენტარიდანაც შეიტყობთ:

— ჩოლარიას მიერ მოწოდებულ ხელშეკრულების პროექტს გავეცანი და ძალიან ბევრი შენიშვნა მაქვს. ეს არ არის საქმიანი წინადადება.

**— ხელშეკრულების რა პუნქტები არ მოგწონთ?**

— კონკრეტულად ბევრს ვერაფერს გეტყვით ერთის გარდა — ფედერაციას ტელევიზიიდან შემოსული თანხის ნაწილის მოცემა არ სურს, არადა, ამ გზით მილიონზე მეტი შემოსავალი ექნება. თუნდაც ამის გათვალისწინებით, ამ პროექტს ხელი რომ მოვაწეროთ, წამგებიან სიტუაციაში აღმოვჩნდებით.

აი, ეს თქვა ჩხაიძემ და რაკი ჩოლარიასთან დალაპარაკების იმედი გადაეწურა, დატოვა „ლოკომოტივი“. გასაიდუმლოებული ხელშეკრულების პროექტს გარკვეულწილად სტადიონის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ ახადა ფარდა:

— სფფ-ის წინადადებით, ბილეთებით გაყიდული შემოსავალი მთლიანად ჩვენ დაგვრჩება, მაგრამ ჩვენვე უნდა დავფაროთ ლეგიონერთა გამოძახების, მსაჯ-ინსპექტორთა მგზავრობის, სასტუმროში ცხოვრების, კვების ხარჯები. ამას დაუმატეთ ის 90 ათასი დოლარი, მოძრავი სატელევიზიო სადგურის ჩამოსაყვანად რომ არის საჭირო. ამ თანხებს თუ შევაჯერებთ, იმის გათვალისწინებით, რომ ბილეთების ასი პროცენტით გაყიდვა შეუძლებელია, ფაქტობრივად, წამგებიან ვითარებაში ვვარდებით. ამიტომაც არა მგონია, ჩხაიძე სფფ-ის წინადადებას დათანხმდეს.

*— დღეს თქვენ ყველაფერზე იმსჯელეთ უმთავრესის გარდა, რკინიგზა და ფედერაცია ერთმანეთში არ მორიგებულან, ამის გარეშე კი არაფერი მოგვარდება, რატომ არ დაინტერესდით ამ პრობლემით?* — ჩვენს ამ კითხვაზე სხდომის კანცელარიელმა წამყვანმა მერაბ ჯაფარიძემ გაზეპირებული პასუხი გაგვცა, 14 მარტს შევიკრიბებით და ყველაფერი მოგვარდებაო.

აღდგომა და ხვალეო...

**პაატა ძვანტალიანი**



მერაბ ჯაფარიძე:
ყველაფერი მოგვარდება



მიხეილ სალაძე:
წესრიგისთვის მზად ვართ!



გურამ ჯავახაძე:
შუქი? რამდენიც გინდათ!

# უკაცრავად, ეს ჩვენი ადგილია

## პრესა და დაჯდომის თავისუფლება ლოკომოტივზე

### „ლოკომოტივის“ სტადიონი

ჩვენში ის ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც გარკვეული დოზით უეფას სტანდარტებს შეესაბამება. ფეხბურთის ფედერაციასაც სხვა გზა არ დარჩენია და ვაკური სარბიელიც ეროვნული გუნდის ნავსაყუდელად გადაუქცევია.

ერთი შეხედვით „ლოკომოტივი“ ჩინებულია. რა ვუყოთ მერე, მოედნის საფარი თუ შეილახა, ანაც სადღაც წვიმამ გაჟონა. ამ ქვეყანაში უკეთესი არ მოიძებნება და რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცს აკაკი ჩხაიძესაც მისი აგებისთვის არაერთხელ მოუსმენია სამადლობელი სიტყვები, მაგრამ...

აქ „ლოკომოტივის“ ყველა ხარვეზის ჩამოთვლას არ შევუდგებით, უბრალოდ, ჟურნალისტების (შინაური და უცხოელის) იმ დისკომფორტზე ვთქვათ, მერე საქვეყნოდ გასარჩევი რომ გამხდარა. 12 ოქტომბრის ჩაშლილი მატჩის შემდეგ რუსმა ჟურნალისტებმა ხომ არაერთხელ გაკენწლეს თავმომწონე „ლოკომოტივი“, მისი აღმშენებლებიც და ფეხბურთის ფედერაციაც. ისინი ხშირად უმიზეზოდ გვაქილიკებენ და საბაბი რომ მიეცათ, რას დაგვინდობდნენ.

თავი ვანებოთ შუა თამაშში ჩამქრალ შუქს და იმ უთავბოლობაში დღემდე დაუდგენელ დამნაშავეს. დროებით ის ჩაშლილი მატჩიც დავივიწყოთ, რადგან რუსთა ხელმეორედ სტუმრობამდე ირლანდიაც გვეწვევა და შვეიცარიაც, კომფორტს და წესრიგს მიჩვეული გუნდები თავისი ჟურნალისტებით.

„ლოკომოტივზე“ კი, ფაქტობრივად, არ არსებობს პრესლოჟა. უცხოელ კოლეგებს კიდევ რა უჭირთ, იმ ვითომ პრესლოჟაში მოათავსებენ, შინაურებს კი მაყურებლებში მიგვერეკებიან. უცხოელი ჩვენსავით ბლოკნოტით და ავტოკალამით არ მუშაობს, ლეპტოპი მოუმარჯვებია და რედაქციაშიც ხშირად რეკავს. ვაკეში კი ჟურნალისტთა თავშესაყარში არც დენის წყაროა და არც ტელეფონის კაბელი.

პრესცენტრზეც ბოდიშით, რის ფაქსი, რა ტელეფონები... გასახდელებთან „შერეულ ზონას“ მოითხოვ და გიჟად მოგნათლავენ. ამის შემდეგ მინი-ბუფეტიც რომ გაიხსენო, ალბათ, სტადიონიდან გაგაძევებენ.

არადა, „ლოკომოტივის“ და ფედერაციის წარმომადგენლები ხშირად ესწრებიან ევროპულ მატჩებს და, ალბათ, იქაური სტადიონების პრესლოჟა და პრესცენტრებიც შეუთვალიერებიათ.

ყველაზე დიდი პრობლემა ჟურნალისტებისთვის სტადიონზე საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და მისი ამქრის მობრძანება გახლავთ. თუ თამაშზე პრეზიდენტი, სახელმწიფო და სხვა მინისტრები ბრძანდებიან, ჟურნალისტის სამუშაო, ფაქტობრივად ჩაშლილია. ჯერ კუთვნილი ადგილისთვის ბრძოლა მოგიწევთ სხვადასხვა სამსახურებთან, მერე კი ქვეყნის მაღალჩინოსანთა დაცვის თანამშრომლები ცხვირწინ აგეტუზებიან და თამაშს ხეირიანად არც გაყურებინებენ. ფოტოგრაფებისა და ტელეჟურნალისტების ნაირგვარ პრობლემებსაც თუ მივსდიეთ, ეს ჩვენი ნაქები „ლოკომოტივი“ მთლად შემოგველანძღება და უმჯობესია, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

გუშინწინ „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექციას ფედერაციის პრესცენტრიდან ეწვივნენ. რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, აკაკი ჩხაიძეს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება გადაუწყვეტია. ეს საქმე მოადგილე დავით ხუციშვილისთვის მიუნდვია და იქნებ სტადიონის პრესის ლოჟასა და ცენტრსაც დაადგეს საშველი და ქართველ-უცხოელ ჟურნალისტებსაც.

ფედერაციამ თავისი თქვა, სტადიონის დირექციას კი გაუჭირდება, მაგრამ უარი თითქმის არაფერზე დასცდენია. რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ყველა შენიშვნა ჩამოწერა და 15 მარტისთვის სრული წესრიგი იქნებაო, შეგვპირდნენ.

ძალიან საეჭვოა, ყველა პრობლემა ორ კვირაში მოგვარდეს, მით უფრო, „ლოკომოტივზე“ თავსატეხი სხვაც ბევრია, თუმცა ისიც საქმე იქნება, თუ სტადიონზე მისულ ჟურნალისტებს პრობლემებს ხელოვნურად არ შეგვიქმნიან. არადა, ისევ სირცხვილი ევროპული თუ მსოფლიოს მასშტაბით.

**მამუკა ძვანტალიანი**



ედუარდ შევარდნაძის „ლოკომოტივზე“ მისვლა
ჟურნალისტებს პრობლემებს უქმნის

დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

# ხელი არ ახლოთ ჩემს შავ ძმას!

## სტუდენტებმა გალიარდოს სუფრა გაუშალეს

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან



განელი ნანა ქინიანად ბურთაობდა

**მეორე ტაიმი** ორიოდ წუთის განახლებული იყო, როცა თსუ-ს თავკაც მერაბ კოჭლაშვილს ნერვებმა უმტყუნა და მის შორიახლოს მდგარ „იზოსტა-რის" ბოთლს წიხლი ამოჰკრა. ეს იმ მომენტს მოჰყვა, თავგამოდებით მებრძოლმა სტუდენტებმა გოლი რომ გაუშვეს.

ვისაც მერვედფინალში თსუ-ს გაძრომისა სჯეროდა, იმას ჩვენში გამოუსწორებელ ოპტიმისტს ეძახიან. სტუდენტები რკინიგზელების წამქცევები რომ არ იყვნენ, თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ ისეთი დუნე „ლოკომოტივიც", გუშინ რომ ვიხილეთ, გასაკვირ ამბად დაგვირჩა.

გასაგებია, რომ ხანგრძლივი შეკრების შემდეგ ლუის ცაკარიასის ბიჭები საუკეთესო ფორმაში ჯერ არ არიან. თსუ-სთან ორივე მატჩიც, ფაქტობრივად, ახალგამარგლულ ყანაში ითამაშეს, მაგრამ მონდომებას წინ რა უნდა დაუდგეს, გაუგებარია.

გუშინ პირველად ვნახეთ საქმეში „ლოკომოტივის" განელი ფორვარდი ნანა ეშუანი და ვერაფერით ვიტყვით, მსგავსი არაფერი გვინახავსო. ნანას ახალთანაგუნდელებთან შეუთამაშებლობაც აშკარად ემჩნეოდა და ვერც დამძიმებულ „არმაზზე" ფეხის მოკიდებას ახერხებდა. ვერც იმას დავიჩემებთ, განელი გამოუსადეგარი მოთამაშეაო. ათლეტური აღნაგობის ეშუანს ბურთის მიღება და კორპუსით თამაში ეხერხება, ფიზიკურადაც არა უშავს. მართალია, დიდი სასტარტო სიჩქარით არ გამოირჩევა, მაგრამ თუ აიწყვიტა, მისი შეჩერება გაძნელდება. ვნახოთ, რა იქნება ნანა ორი კვირის შემდეგ. ალბათ, ამ ხნის მანძილზე ოპტიმალურ ფორმასაც მიუახლოვდება და გუნდსაც უფრო გაუშინაურდება. ისე, ქართული სიტყვები უკვე აუთვისებია, საკმაოდ ბრძოლისუნარიანიც ჩანს, მისი სატრანსფერო ფურცელი ფედერაციას გუშინ დილით მიუღია, შუადღისით კი უკვე „არმაზზე" იდგა.

რაც შეეხება თსუ-ს, კოჭლაშვილის უწვერულ და გამოუცდელ ბიჭებს ურიგოდ არ უბურთავიათ. საკუთარ ნახევარზე მეტოქეს თავს აკლავდნენ, მაგრამ შეტევა უჭირდათ. სტუდენტებმა ვერც კაცნაკლულ სტუმრებს დააკლეს რამე, ორიოდეჯერ ხიფათისმაგვარიც შექმნეს ლომაიას კართან, თუმც რკინიგზელებს ძვრაც ვერ უყვეს. „ლოკომოტივი" მთელ 90 წუთს თამაშს აკონტროლებდა.

გუშინდელ მატჩში სამი მოთამაშე „დაკარგა" ცაკარიასმა. სერგო ორბელაძემ იოლ ფორმებში ტვინის შერყევა მიიღო. ეს მაშინ, როცა თავის მეკარე ლომაიას თავით შეასკდა. გიორგი ბალაშვილმა კუნთი დაიჭიმა და შესაცვლელი შეიქნა, ხოლო სოსელია მალალურაძემ გააძევა მოედნიდან.

ერთი შეხედვით, რკინიგზელი შემტევი სამართლიანად მოიქცა, როცა თანაგუნდელ შავკანიან ნანას გამოექომაგა. ეშუანმა ერთ მომენტში ძალისმიერად ითამაშა თსუელი აფშილავას წინააღმდეგ. სტუდენტი კი ზურგშექცეულ ზანგს გაექაჩა და ხელიც ჰკრა. სოსელიას შეეძლო, სამართლიანობა ისე დაეცვა, მეტოქის ყბას არ შეხებოდა. ამისთვის მან სამართლიანად ზღო. თსუელ აფშილავას კი ყვითელი ბარათი ერგო.

თამაშის ერთადერთი გოლი კი პერუელმა გალიარდომ გამოაცხო. მას მასპინძლებმა საკუთარი კარის სიახლოვეს იმდენი დრო და გასაქანი მისცეს, რომ საგოლედ მოქნევას კი არა, ათიოდ ხინკლის და ორიოდ კათხა ლუდის განიავებასაც მოასწრებდა გაწაფული კაცი.

მცხეთა. 28 თებერვალი. 14 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

### თსუ 0:1 ლოკომოტივი

პირველი მატჩი 0:1

0:1 გალიარდო (48)

| | |
|---|---|
| **თსუ:** ძამუნაშვილი, კუპრეიშვილი, აფშილავა, ჯოჯუა (კუხალეიშვილი 80), ბუჯიაშვილი, ბარბაქაძე (წიქარიშვილი 88), ელოშვილი, ქუხილავა, ლ. კვარაცხელია, გულბათაშვილი, ბეხთაევი<br>*სათადარიგონი:* ქრიკიშვილი; გ. მიქაძე<br>**მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი | **ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი (გოგინაშვილი 78), ორბელაძე (მ. ბურნაძე 28), სალუქვაძე, რ. ონიანი, გ. კვარაცხელია, სოსელია, გალიარდო, კაიდარაშვილი (მოძუაშვილი 62), ქიქვეიშვილი, ნანა<br>*სათადარიგონი:* ივარდავა; ზ. ლაცაბიძე, გ. ონიანი, რუხია<br>**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი |

**გაფრთხილება:** ჯოჯუა (44), აფშილავა (50), ბალაშვილი (60), ბურნაძე (84).

**გაძევება:** სოსელია (60)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ჯარიმა: 19-14; კუთხური: 4-4; კარისკენ დარტყმა: 1-6; კარში დარტყმა: 2-5; თამაშგარე: 0-1

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ლოკომოტივი. 200 მაყურებელი

### სპარტაკი 1:0 გორდა

პირველი მატჩი 3:0

1:0 სულაქველიძე (19)

| | |
|---|---|
| **სპარტაკი:** ჩომახიძე, კუკულაძე, ქვანია, ჯანგიძე (დონდოლაძე 65), იმნაიშვილი, სულაქველიძე, ხაჩიძე, კ. ალადაშვილი, ნურნუმია, კვერენჩხილაძე (სხირტლაძე 75), მგელაძე<br>*სათადარიგონი:* ა. ჩხაიძე; მიქაბერიძე, ტატანაშვილი, გ. ლაბაძე, კოტრიკაძე<br>**მწვრთნელი:** ავთანდილ ნარიაშვილი | **გორდა:** ჩლაიძე, არსოშვილი, სილაგაძე, ბერიძე, ლ. ჩხაიძე (ხატიაშვილი 64), ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე, ჯელაძე, ბ. ნოზაძე, მიქავა (მ. მელაძე 44), ლ. ალადაშვილი<br>*სათადარიგო:* ბედიაშვილი<br>**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი |

**გაფრთხილება:** იმნაიშვილი (6), ზ. ლაბაძე (28)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. გოგოლაძე (ბორჯომი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. მჭედლიშვილი

ჯარიმა: 15-16; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 2-3; კარში დარტყმა: 6-0; თამაშგარე: 5-3

# გორდამ გორა დატოვა

პაატა კვანტალიანი

**მატჩი** ახალი დაწყებული იყო, ერთ-ერთი სპარტაკელის გასროლილი ბურთი, „ლოკომოტივის" სათადარიგო სტადიონზე სახელდახელოდ გაწყობილი ტაბლოს იმ ნაწილს მოხვდა, „გორდა" რომ ეწერა და ბოლოსწინა ასო ჩამოაგდო. დარჩა „გორა" ტაბლოზე და უკეთესობა არც მოედანზე ეტყობოდათ რუსთაველებს. საპასუხო მატჩშიც უსახურად შერცხვა უმაღლესლიგელი რანგით დაბალ მეტოქესთან.

რუსთაველებს გრიპიანი კახა ალადაშვილი აკლდათ, თუმც ამ სახელ-გვარის ფეხბურთელს მაინც მოუხდა თამაში, ოღონდ სპარტაკელთა რიგებში. ამ ფეხბურთელმა სხვა თანაგუნდელების მსგავსად მონდომება არ დააკლო გუშინდელ, ერთი შეხედვით უმოტივაციო მატჩს.

„გორდამ" კი ამაზრზენად ითამაშა, 52-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასული ლაშა ალადაშვილის გაცუდებულ მომენტს თუ არ ჩავთვლით, საგოლე შანსი პრაქტიკულად არ ჰქონიათ სტუმრებს. ის კი არა, მეტოქის კარშიც არ დაურტყამთ რუსთაველებს.

ახალგაზრდულმა „სპარტაკმა" (გამოგიტყდებით და გუნდის სახელი გვაოცებს), მწყობრად და გააზრებულად ითამაშა. შედეგად ორი გოლი (ერთი არჩათვლილი) და ხუთი გაცუდებული საგოლე შანსი დაუტოვა მატჩის სანახავად შეყრილ, სიცივეს არმორიდებულ 200-მდე გულშემატკივარს...

ჩვენ კი დავძენთ, რომ „გორდას" გაუჭირდება უმაღლეს ლიგაში დარჩენა...



სპარტაკელებმა „გორდას" თბილისში ერთი გოლი აჰმარეს

# ვერ გაიტან? ვერ გაგიტანენ

კახა შალამბერიძე

**მთელი მატჩის** განმავლობაში ნერვიულობით გულგახეთქილი და შეგირდების უზუსტობით გამწყრალი რევაზ გაგუა მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ბიჭებს ტაშს უკრავდა. „ნორჩი დინამოელი" დავით ყიფიანის თასის მეთექვსმეტედფინალურ ბარიერს ვერ გადაახტა, მაგრამ მთავარ მწვრთნელს შეგირდებისთვის გარჯა არ დაუკარგავს. წნორის „მილანმა" კი მერვედფინალში მართლაც დიდი გაჭირვებით გააღწია.

პირველი ტაიმი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ავჭალის ოღრო-ჩოღრო მოედანზე ძირითადად პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა, რაც კახელებს უფრო აძლევდათ ხელს. მათ ხომ პირველი მატჩში 1:0 სძლიეს მეტოქეს.

დედაქალაქელები შეტევას კი ცდილობდნენ, მაგრამ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერებული „მილანი" მედგრად იდგა. ახალგაზრდა დინამოელთაგან დევიძე-ლუჭაშვილი-ნიკოლაიშვილის სამეული გამოირჩეოდა. მასპინძლები სწორედ მათი ძალისხმევით ახერხებდნენ ბურთის მეტოქის საჯარიმომდე მიტანას, მაგრამ მერე ზუსტ გაგრძელებას ვეღარ პოულობდნენ.

ტაიმის შუაგულიდან კი ფეხბურთელებმა უხეშობას უმატეს და მსაჯის სასტვენის ხმა სულ უფრო გახშირდა. თამაშის ხშირი შეწყვეტაც, ცხადია, „მილანს" უფრო აძლევდა ხელს.

გუნდებმა შესვენებამდე თითო სახიფათო მომენტის გაცვლაც მოასწრეს. მილანელი მირზა სამხარაძის გაცუდებულს დინამოელმა კანთელაძემ ძლიერი, მაგრამ ოდნავ არაზუსტი დარტყმით უპასუხა.

არაზუსტობაზე კი მეორე ტაიმის მომენტები უფრო გვახსენდება. „ნორჩი დინამოელი" მაგრად მიაწვა მეტოქეს და მე-60 წუთიდან მამალაძის კარის დაბომბვა დაიწყო.

რევაზ გაგუას შეგირდებმა იმდენი და ისეთი მომენტები ვერ გამოიყენეს, თავადაც უკვირდათ.

ლუჭაშვილ-დევიძის ორსვლიანი კომბინაციით ნიკოლაიშვილი დარჩა მეკარის წინ მარტო, თუმც მან კარს ზემოდან გადააცილა.

ცოტა ხანში ვასილ ლუჭაშვილმა ზედიზედ ორი ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა ვერა და ვერ გაისწორა მიზანი.

66-ე წუთზე „მილანს" თითქმის ნახევარწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ზაზა მედოევი დაუბრუნდა. ამას დინამოელებმა კიდევ ბლომად საგოლე მომენტები მიაყოლეს. ლუჭაშვილმა და ბერიანიძემ მამალაძის კარის დალაშქვრა კვლავ ვერ შეძლეს. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი ზურიკაშვილმა როგორ ვერ მოახვედრა ბურთი კარის ჩარჩოში, მართლაც დაუჯერებელი იყო — კარიდან ორიოდ მეტრში მყოფმა თავდამსხმელმა ბურთი იოლად დაიმორჩილა და...

„მილანი" ამ დროს ცდილობდა თამაში მოედნის ცენტრში გადაეტანა, მაგრამ ნოდარ დევიძის აქტიურობა კახელ მცველებში მუდმივ ნერვიულობას იწვევდა.

ამდენი სახიფათო მომენტის გამოუყენებლობის გამო „ნორჩი დინამოელი" უნდა დასჯილიყო. ამის შანსი სტუმრებს მიეცათ კიდეც, მაგრამ ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ყოფილმა მეკარემ, ზვიად ჩალაძემ მირზა სამხარაძეს ურთულესი დარტყმები აუღო. ამას ისევ „დინამოელის" მწვავე შეტევები მოჰყვა, თუმც მატჩის ბოლომდე თბილისელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს კარში სახიფათოდ დარტყმა — ზურიკაშვილის გასროლილი ზურაბ მამალაძემ კუთხურზე მოიგერია.

თბილისი. 28 ოქტომბერი. 14 საათი. სინათლე. 400 (ტევადობა 3 000)

### ნორჩი დინამოელი 0:0 მილანი

პირველი მატჩი 0:1

| | |
|---|---|
| **ნორჩი დინამოელი:** ჩალაძე, ელიზბარაშვილი, აბაშიძე, ბერიანიძე, ხურციძე, ნ. დევიძე, ლუჭაშვილი, კანთელაძე (ბუბუტეიშვილი 86), ნიკოლაიშვილი, ალავიძე, ზურიკაშვილი<br>*სათადარიგონი:* ლატარია; ვეკოშვილი, ღიბრაძე, რაზმაძე, სურგულაძე, კუსრაშვილი<br>**მწვრთნელი:** რევაზ გაგუა | **მილანი:** მამალაძე, ზ. ცქიფურიშვილი (ლამბაშიძე 46), სიდამონიძე, მეტონიძე, აკობია, ჯაფარიძე, ბარამიძე, ხაჩიძე, მ. სამხარაძე, დ. გოდერძიშვილი (მედოევი 66)<br>*სათადარიგონი:* გიორბელიძე; ნ. მელაძე, ვეძე, ლულუნაძე<br>**მწვრთნელი:** ზურაბ ბოჭორიშვილი |

**გაფრთხილება:** ცქიფურიშვილი (27), ნიკოლაიშვილი (27)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. კურტანიძე

ჯარიმა: 20-25; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 7-3; კარში დარტყმა: 4-6; თამაშგარე: 6-6

თერჯოლა. ცენტრალური. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**სამგურალი 0:3 ტორპედო (1:5)**

ხაშური. გივი ჯომართიძე. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**იბერია 0:0 დინამო 2 (1:2)**

საჩხერე. ცენტრალური. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**ჩიხურა 0:1 ვიტ ჯორჯია (1:7)**

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**გურია 2:0 ლაზიკა (2:1)**

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**ალაზანი 2:4 სიონი (1:7)**

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**სამტრედია 0:3 კოლხეთი (0:6)**

თბილისი. დერბის სკოლა. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**ძაგლიკურა ნავარქები 2:1 ცხინვალი (1:1)**

ქობულეთი. ცენტრალური. 28 თებერვალი. 14.00 საათი

**კობულეთი 4:1 მეტალურგი (3:0)**

# ინგლისის ლიგის თასის ფინალი. ხვალ კარდიფი. „მილენიუმი". 18 საათი

# ლივერპული VS მანჩესტერი

## სავარაუდო შემადგენლობები

დუდეკი, კარაგერი, ანშო, ჰიიპია, ტრაორე, ჰამანი, ჯერარდი, მერფი, რიისე, ჰესკი, ოუენი

ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოშეა, ბექჰემი, კინი, ვერონი, ბათი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი

# თასის ფასი



ამ ფოტოებიდანაც ჩანს, რომ მანჩესტერელები უგუნებობას არ უჩივიან

„მანჩესტერ იუნაიტედი" კარგ ხასიათზეა — შუა კვირაში „იუვენტუსი" დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. „ლივერპულიც" კარგ ხასიათზეა — ამავე კვირაში „ოსერი" დაამარცხა და უეფას თასის მეოთხედფინალში გავიდა. ესეც კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ხვალ, კარდიფის „მილენიუმზე" ინგლისური ფეხბურთის მძიმეწონოსანთა სალიგო ფინალი დიდხანს დასამახსოვრებელ თამაშად იქცეს.

მიზანი ერთია, თასის მოგება, მაგრამ თასს მეტოქეთათვის განსხვავებული ფასი აქვს.

ჟერარ ულიესთვის და მთლიანად „ლივერპულისთვის" ლიგის თასი ხსნაა. კი, გუნდი აგერ ფინალში გავიდა და უეფას თასის მოგების უმთავრეს კანდიდატთაგანია, მაგრამ ინგლისელი ქომაგისთვის ხომ მთავარი პრემიერლიგაა. ჩემპიონატში კი „ლივერპული" საზიზღრად თამაშობს და დავიწყებას მიეცა რამდენიმე თვის წინანდელი ამბავი, როცა მერსისაიდელები ლიდერები იყვნენ. აქა-იქ, ჟერარ ულიესაც ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება და ხვალინდელ მატჩში გამარჯვება ვინძლო ნაინფარქტალი მენეჯერისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაც იყოს.

„იუნაიტედისთვის" ლიგის თასი მეტად უმნიშვნელო ჯილდოა კმაყოფილებისთვის. კი, ზეიმი ამ თასის მოგებასაც მოჰყვება, მაგრამ გუნდი პრემიერლიგისა და ჩემპიონთა თასის მოგებას ემურება და აბა, სად ესენი და სად ლიგის თასი. სერ ალექს ფერგიუსონს კარიერაში 23, „მანჩესტერში" კი 14 ჯილდო აქვს მოგებული — ლიგის თასზე ბევრად მნიშვნელოვანებიც.

ისე, ლიგის თასს რომ ვამბობთ, ის სხვადასხვა წლებში ხუთი განსხვავებული სახელით იყო ცნობილი, იმის მიხედვით, რომელი რომელი კომპანია კისრულობდა გათამაშების სპონსორობას. დასაბამიდან, 1960 წლიდან, ის უბრალოდ ლიგის თასი იყო, 1982 წლიდან „მილკის" თასი დაერქვა, ოთხი წლის მერე „ლითლვუდსის" თასად იქცა, მერე სპონსორმა „რამბელოუსმა" იკისრა, ბოლოსწინა სახელი „კოკა კოლას" თასი იყო, აგერ მეხუთე სეზონია, ლიგის თასი „ვორთინგტონისად" იწოდება.



თითქოს უცნაურია, მაგრამ „ლივერპული" და „მანჩესტერი", ინგლისის ორი ყველაზე ტიტულიანი კლუბი, ოდენ მეოთხედ ხვდებიან ლიგის თასზე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რაა გასაკვირი — უფრო დიდ ჯილდოებს გამოდევნებული ბობოლები ამ შეჯიბრებაში მეტწილად სათადარიგო ფეხბურთელებით თამაშობენ და ადრევე ვარდებიან. ეს უფრო „იუნაიტედზე" ითქმის, თორემ „ლივერპული" აქამდე რვაჯერ გასულა ფინალში და ექვსჯერ უმარჯვია.

ამ სეზონში ვითარება შეიცვალა. შარშან არც „ლივერპულს" და არც „მანჩესტერს" არაფერი მოუგიათ და რაკი ესენი გამარჯვებებს ნაჩვევნი არიან, მეტი სერიოზულობით და საუკეთესო ფეხბურთელებით მიუდგნენ წლევანდელ გათამაშებას.

სახვალიოდ კი ასეთი ვითარებაა: „მანჩესტერს" არ ეყოლება ტურინული მატჩის გმირი, იმავე შეხვედრაში დაშავებული რაიან გიგზი, ლივერპულელთა ხელისშემშლელი ფაქტორი კი დალღილობა თუ იქნება. „იუნაიტედს" არ ეყოლება დაშავებული უესლი ბრაუნიც, სამაგიეროდ, პოლ სქოულზი და მიკაელ სილვესტრი ეგებ დროულად ჩადგნენ მწყობრში.

თამაში თავისთავად და საინტერესო ორთაბრძოლებიც უნდა გაიმართოს. მერსისაიდელთა ფეხმარდი, მაგრამ არასტაბილური ფორვარდის, მაიკლ ოუენის შეჩერება რიო ფერდინანდს დაევალება. დიდი ბრძოლა უნდა გამართონ როი კინმა და სტივენ ჯერარდმა მოედნის შუაგულში, ოღონდ, თუ კინი ტურინული მატჩის მსგავსად, ფერგიუსონმა დაცვაში არ გაამწესა.

ბოლოს კი ბომბარდირებზეც ვთქვათ. თასის ამ გათამაშებაში ყველაზე მეტი გოლი არა ვინმე განთქმულმა ფორვარდმა, არამედ მოკრძალებული „უიგანის" შემტევმა ნათან ელინგტონმა შეაგდო — 5. ფინალისტთაგან საუკეთესო მეგოლეები ელ-ჰაჯი დიუფი და პოლ სქოულზი არიან, მათ სამ-სამი გოლი აქვთ გატანილი. ჰოდა, ელინგტონის გადასასწრებად, რომელიმეს ჰეთ თრიქი სჭირდება.

**ირაკლი ნინიძე**

## გზა ფინალამდე

| ლივერპული | მანჩესტერი |
|---|---|
| III ეტაპი | III ეტაპი |
| ლივერპული 3:1 საუთჰემპტონი | მანჩესტერი 2:0 ლესტერი |
| გოლები: ბერგერი, დიუფი, ბაროში | გოლები: ბექჰემი, რიჩარდსონი |
| IV ეტაპი | IV ეტაპი |
| ლივერპული 1:1 (პენ. 5:4) იფსვიჩი | ბარნლი 0:2 მანჩესტერი |
| გოლი: დიუფი | გოლები: ფორლანი, სოლსკიაერი |
| მეოთხედფინალი | მეოთხედფინალი |
| ასტონ ვილა 3:4 ლივერპული | მანჩესტერი 1:0 ჩელსი |
| გოლები: მერფი (2), ბაროში, ჯერარდი | გოლი: ფორლანი |
| ნახევარფინალი | ნახევარფინალი |
| შეფილდ იუნ. 2:1 ლივერპული | მანჩესტერი 1:1 ბლექბერნი |
| გოლი: მელორი | გოლი: სქოულზი |
| ლივერპული 2:0დდ(1:0) შეფილდ იუნ. | ბლექბერნი 1:3 მანჩესტერი |
| გოლები: დიუფი, ოუენი | გოლები: სქოულზი (2), ვან ნისტელროი |

## ფინალისტები ფინალში

| | |
|---|---|
| 1978 | ნოტინგემი 1:0 ლივერპული |
| 1981 | ლივერპული 2:1 ვესტ ჰემი |
| 1982 | ლივერპული 3:1 ტოტენჰემი |
| 1983 | ლივერპული 2:1 მანჩესტერი |
| 1984 | ლივერპული 1:0 ევერტონი |
| 1987 | არსენალი 2:1 ლივერპული |
| 1991 | შეფილდ. უენსდი 1:0 მანჩესტერი |
| 1992 | მანჩესტერი 1:0 ნოტინგემი |
| 1994 | ასტონ ვილა 3:1 მანჩესტერი |
| 1995 | ლივერპული 2:1 ბოლტონი |
| 2001 | ლივერპული 1:1(პენ. 5:4) ბირმინგემი |

## ურთიერთშეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| 26.03.83 | ფინალი | ლივერპული 2:1 მანჩესტერი |
| 26.11.85 | IV ეტაპი | ლივერპული 2:1 მანჩესტერი |
| 31.10.90 | III ეტაპი | მანჩესტერი 3:1 ლივერპული |

# სერი ტელევიზორში

## გლაზგოური თვალით დანახული ლონდონი



**გლაზგოში** დაბადებულმა „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ლონდონში დაბადებულებზე დოკუმენტურ ფილმში ისაუბრა. ფილმი ყოფილი მანჩესტერელის, ტედი შერინგემის შესახებაა და ერთ-ერთ ბრიტანულ არხზე აჩვენეს. სწორედ იქ გამოჩნდა სერ ალექსის ცხვირი.

მას შერინგემზე ჰკითხეს, ფერგიუსონი კი სხვა ფეხბურთელებსაც გადასწვდა, მათ შორის ექსმანჩესტერელ პოლ ინსსა და, რაღა თქმა უნდა, ბექჰემსაც. ისინი ლონდონში დაიბადნენ და შოტლანდიელმა ზოგადად ლონდონელებზე თქვა: ინსსაც კარგად ვიცნობ, შერინგემსაც და ბექჰემსაც. აქაოდა, დედაქალაქელები ვართ, ცხვირაწეულნი დადიოდნენ. ვფიქრობ, საერთოდ ლონდონელებს ასეთი ზნე სჭირთ. მათ რატომღაც ჰგონიათ, რომ ყველაზე პატიოსანნი და უნაკლონი არიან. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მუდამ ცდილობენ სხვებისგან გამორჩევას. სურთ, რომ ყოველთვის მოელვარე, მოკაშკაშე ვარსკვლავივით განსხვავებულნი გამოჩნდნენ. მახსოვს, თავიდან შერინგემიც ნაღდი ლონდონელივით იქცეოდა, მერე კი ცოტა მოლბა და მოშინაურდა. მიკვირს დევიდ ბექჰემისა, სულ ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ასეთ პირობებში როგორ ცხოვრობს? მის გარშემო გამუდმებით ფოტო-ვიდეო კამერებს ატრიალებენ, განა ეს ნორმალურია?

**მაშა ხუციშვილი**




ჯონათან ვუდგეიტს ბობი რობსონი „ნიუკასლის" მაისურით დღეს ათამაშებს

# ჯონათანთან ერთად

„ლიდსი" ტერი ვენეიბლზს ხელში შემოეფცქვნა. პიტერ რიდსდეილს ფული სჭირდებოდა, ვენეიბლზს ფეხბურთელები. რიდსდეილი ჰპირდებოდა, არ გავასხვისებ ფეხბურთელებსო, მაგრამ ლიდსელები აქეთ-იქით გაყიდა. ასე აღმოჩნდა ჯონათან ვუდგეიტიც „ნიუკასლში". ვუდგეიტმა თავის თანამეინახეებთან ერთად შარშანწინ, ნაირ-ნაირ შარში გახვეულმა სასამართლოს კარებთან უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდერ ვარჯიშზე.

23 წლის ჯონათანი ამ ზამთარს „ლიდსიდან" „კაჭკაჭებში" 9 მილიონ გირვანქად გადაიყვანეს. მას „ნიუკასლში" ჯერაც არ უთამაშია, მაგრამ დღეს შეიძლება სერ ბობი რობსონმა ძირითად შემადგენლობაში ჩასვას. ვუდგეიტი ავადობდა და ერთი კვირის წინ, როცა გამოკეთდა „ლიდსი" — „ნიუკასლის" მატჩში უნდა ეთამაშა, მაგრამ კონტრაქტის პირობით, „ლიდსის" წინააღმდეგ გამოსვლა ეკრძალებოდა და ამიტომაც ისევ დასვენება მოუწია. „ნიუკასლი" ორ ფრონტზე იბრძვის და ბობი რობსონის ფეხბურთელებსაც დასვენება სჭირდება. ლევერკუზენის „ბაიერნთან" შეხვედრაში აარონ ჰიუზი და ენდი ობრაიენი მწვრთნელმა დაასვენა, დღეს კი მათთან ერთად ჯონათან ვუდგეიტიც მოედანს მიაშურებს. მწვრთნელის თქმით, ვუდგეიტს ცენტრალურ მცველებიდან რომელიმეს შეუწყვილებს და მისი „ნიუკასლური" დებიუტიც შედგება.

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

**I ჯგუფი. II ტური**

რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:1 ლიბერტადი (პარაგვაი)

0:1 ე. ბენიტესი (64), 1:1 ფუერტესი (66), 2:1 ლ. გონსალესი (78), 3:1 ფუერტესი (85)

**VII ჯგუფი. II ტური**

მედელინი (კოლუმბია) 1:0 ბარსელონა (ეკვადორი)

1:0 რესტრეპო (7)

**VIII ჯგუფი. II ტური**

სთრონგესტი (ბოლივია) 1:0 ფენიქსი (ურუგვაი)

1:0 ლედესმა (61)

# იტალია

პაპუნა კელია

## სად იყო მარჩელო ლიპი?

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბრეშა | - | ბოლონია |
| პარმა | - | მოდენა |
| **ხვალ** | | |
| მილანი | - | ატალანტა |
| პიაჩენცა | - | კომო |
| რომა | - | ემპოლი |
| იუვენტუსი | - | ინტერი |
| პერუჯა | - | ლაციო |
| კიევო | - | ტორინო |
| რეჯინა | - | უდინეზე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 14 | 6 | 2 | 41:16 | 48 |
| ინტერი | 22 | 15 | 3 | 4 | 45:23 | 48 |
| მილანი | 22 | 14 | 4 | 4 | 41:16 | 46 |
| ლაციო | 22 | 10 | 10 | 2 | 37:21 | 40 |
| კიევო | 22 | 11 | 4 | 7 | 31:21 | 37 |
| უდინეზე | 22 | 10 | 6 | 6 | 23:21 | 36 |
| პარმა | 22 | 9 | 7 | 6 | 38:27 | 34 |
| ბოლონია | 22 | 8 | 7 | 7 | 27:25 | 31 |
| პერუჯა | 22 | 8 | 5 | 9 | 27:29 | 29 |
| რომა | 22 | 7 | 7 | 8 | 33:31 | 28 |
| ბრეშა | 22 | 6 | 9 | 7 | 26:29 | 27 |
| მოდენა | 22 | 7 | 4 | 11 | 16:30 | 25 |
| ემპოლი | 22 | 6 | 6 | 10 | 25:31 | 24 |
| ატალანტა | 22 | 5 | 8 | 9 | 23:32 | 23 |
| რეჯინა | 22 | 6 | 4 | 12 | 23:39 | 22 |
| პიაჩენცა | 22 | 4 | 4 | 14 | 20:38 | 16 |
| ტორინო | 22 | 2 | 7 | 13 | 13:39 | 13 |
| კომო | 22 | 1 | 9 | 12 | 15:36 | 12 |

**„მილანს“** დიდებული შანსი ჰქონდა სერია A-ს ლიდერობა დაიბრუნოს და სკუდეტოსკენ მორიგი ჯიქური ნაბიჯი გადადგას. სამისოდ მან შინ „ატალანტა“ უნდა დაამარცხოს, მაგრამ... ნუ დავივიწყებთ, რომ ბერგამოელებს ბოლო რვა შეხვედრაში წაგება არ უნახავთ. მეორე მხრივ, თუ ნიშნების გჯერათ, იქნებ რაიმე მნიშვნელობა მიანიჭოთ იმას, რომ „ატალანტამ“ ამ, ხსენებული რვა ტურის წინ სწორედ „სან სიროზე“ წააგო, ოღონდ „ინტერთან“. ამრიგად, „ატალანტა“ „სან სიროზე“ ბრუნდება.

წინა ტურში ბერგამოელებმა, თუ გახსოვთ, რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციო“ ყრუ დაცვით დალალეს და, სავარაუდოდ, „მილანთანაც“ იგივეს შეეცდებიან, თუმცა შემადგენლობაში ცვლილებები უწევთ: ლუჩანო ძაური და დანიელე ბერეტა დისკვალიფიცირებულნი არიან. მათ მაგივრად ჯანპაოლო ბელინი და პაოლო ფოლიო ითამაშებენ.

„შავ-წითლებს“ კი ნაგრიპალი ალესანდრო ნესტა დაუბრუნდებათ, ანდრეი შევჩენკოს კუნთზე კი ამწუთას ვერაფერს გეტყვით, არ არის გამორიცხული, რომ უკრაინელმა ვერ ითამაშოს. ფილიპო ინძაგის უკან სერჟინიო იქნება — ამ ტაქტიკამ ტურინში, „ტორინოსთან“ ჩაშლილ შეხვედრაში 64-ე წუთამდე 3:0 მოიტანა.

ქართველი მცველი კახა კალაძე საავენტოებს წინასწარ განაცხადში თავის ადგილზე უწერიათ.

მაგრამ 23-ე ტურის მთავარი შეხვედრა „დელე ალპიზე“ „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის გაიმართება, ისინი დღეისთვის თანაბარი ქულებით ლიდერობენ ცხრილს და, საერთოდაც, სერია A-ს ისტორიაში უძველეს მეტოქეებად ითვლებიან. ამ სეზონში ისინი „სან სიროზე“ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და 1:1 ითამაშეს. იმ მატჩში, ბოლო წუთზე, „იუვენტუსი“ საეჭვო პენალტის წყალობით დაწინაურდა, მაგრამ ექტორ რაულ კუპერის ფეხბურთელებმა შეხვედრის უკანასკნელი დარტყმით მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. ამ გოლის ავტორი კი დღემდე უცნობია — ბურთი ხაზს იქით წინ წასულმა მეკარემ ფრანჩესკო ტოლდომ და თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ ერთად გადატენეს.

რა მოხდება ხვალ? ერთი უეჭველია, ნერვები ორივე გუნდს დაჭიმული აქვს და ეს თამაშის ნირზეც აისახება. ნერვებზე კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ რამდენიმე დღის წინ, როგორც „იუვემ“, ასევე „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში სასურველს ვერ მიაღწია. სასურველს კი არა და, „ინტერის“ და „ბარსელონას“ ფრეს კიდევ რა უჭირს, „ბებერმა ქალბატონმა“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შინ 0:3 წააგო.

თუმცა, მარჩელო ლიპის გრიპმოხდილები დაუბრუნდნენ, ასე რომ დავიდ ტრეზეგეს თავდასხმაში მარკო დი ვაიოსთან ერთად ვიხილავთ, პაველ ნედვედს კი ნახევარდაცვაში მაურო კამორანეზისთან ერთად. სამაგიეროდ, ჯანლუკა ძამბროტას ამბავია საეჭვო.

რაც შეეხება „შავ-ლურჯთა“ ტრავმებს, აქ ივან კორდობასა და მარკო მატერაცის პრობლემებია ხაზგასმული, ალვარო რეკობას კი მუცლის ტკივილმა გაუარა და იგი „იუვენტუსს“ შეუტევს.

გაბრიელ ბატისტუტამ, მოგეხსენებათ, ნავსი გატეხა, როგორც იქნა ახალი გუნდის შემადგენლობაში გოლი გაიტანა, თუმცა მილანელთა მთავარი მოქმედი პირი, კრისტიან ვიერია, მას ამ სეზონში უკვე 21 გოლი აქვს გატანილი, თან „იუვენტუსის“ ყოფილი მოთამაშეა და კიდევ, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, ტურინში გუნდთან ერთად კი არა, თავისი მანქანით ჩადის. სხვათა შორის, ამ დღეებში „იუვესთან“ ერთად არ იყო მწვრთნელი მარჩელო ლიპიც, და ისიც, ალბათ, ახლა შეუერთდება ფეხბურთელებს. მიზეზი უცნობია.

„პერუჯა“ „ლაციოს“ მასპინძლობს. პერუჯელებმა წინა ტურში შინ „პარმასთან“ წააგეს 1:2, რასაც არ ელოდნენ და რაშიც მთავარი დამნაშავე მათი სუსტი დაცვა გამოდგა, საერთოდ, მოგეხსენებათ, „პერუჯა“ შინ ყოჩაღად არის ხოლმე, ძირითად შემადგენლობას უბრუნდება კრის ობოდო.

„ლაციო“ სტუმრად ისევ დაუმარცხებელია, ძირითადად შინ, რომში ეცარება ხოლმე ხელი. ნახევარდაცვაში არ ეყოლება ჯულიანო ჯანიკედა, რომელიც დისკვალიფიცირებულია, დეიან სტანკოვიჩი კი, ალბათ, დაბრუნდება მოედანზე.

„რომა“ „ემპოლის“ მასპინძლობს. რომაელებს კაპიტანი და ლიდერი ფრანჩესკო ტოტი დაუბრუნდება, თუმცა დაშავებულ მარკო დელვეკიოს და ტრაიანოს დელასს ახლა ვინჩენცო მონტელაც შეემატება. ამას დაუმატეთ ანტონიო კასანოს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია...

დანამდვილებით იქნებიან მასიმო მარაცინა და ალდაირი, რომელიც დისკვალიფიცირებული ჯონათან ძებინას ადგილს დაიკავებს.



კრისტიან ვიერიმ „იუვენტუსთან“ მატჩის წინ რაგბიში წაივარჯიშა

# ინგლისი

[illegible]




ტოტენჰემელი ბრეტ ორმეროდი ლეს ფერდინანდს (მარჯვნივ) დღეს აღარ გადაეხვევა

## ცრემლი შეიშრე, ლეს!

### ნიუკასლში ჩემპიონთა ლიგას გაითამაშებენ

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვესტ ჰემი | — | ტოტენჰემი |
| ბლექბერნი | — | მანჩესტერ სიტი |
| ფულემი | — | სანდერლენდი |
| მიდლსბრო | — | ევერტონი |
| ნიუკასლი | — | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| **ხვალ** | | |
| არსენალი | — | ჩარლტონი |
| **ზეგ** | | |
| ასტონ ვილა | — | ბირმინგემი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 28 | 18 | 6 | 4 | 62:30 | 60 |
| მანჩესტერი | 28 | 16 | 7 | 5 | 45:26 | 55 |
| ნიუკასლი | 27 | 16 | 4 | 7 | 45:32 | 52 |
| ჩელსი | 28 | 13 | 9 | 6 | 49:29 | 48 |
| ევერტონი | 28 | 14 | 6 | 8 | 37:33 | 48 |
| ჩარლტონი | 28 | 13 | 6 | 9 | 39:34 | 45 |
| ლივერპული | 28 | 11 | 10 | 7 | 39:28 | 43 |
| ტოტენჰემი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:38 | 43 |
| ბლექბერნი | 28 | 10 | 10 | 8 | 34:32 | 40 |
| საუთჰემპტონი | 28 | 10 | 9 | 9 | 29:28 | 39 |
| სიტი | 28 | 11 | 5 | 12 | 39:43 | 38 |
| ასტონ ვილა | 28 | 10 | 5 | 13 | 31:32 | 35 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 7 | 11 | 33:31 | 34 |
| ლიდსი | 28 | 10 | 4 | 14 | 34:37 | 34 |
| ფულემი | 28 | 9 | 7 | 12 | 32:35 | 34 |
| ბირმინგემი | 28 | 7 | 8 | 13 | 25:40 | 29 |
| ბოლტონი | 28 | 5 | 11 | 12 | 30:45 | 26 |
| ვესტ ჰემი | 28 | 5 | 8 | 15 | 30:53 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 5 | 6 | 17 | 21:43 | 21 |
| სანდერლენდი | 28 | 4 | 7 | 17 | 19:45 | 19 |

**პრემიერლიგის** კალენდარს ხომ ისედაც ვერაფერს გაუგებთ და ამ უქმეებზე ორი მატჩიც გადაიდო. მიზეზი ის გახლავთ, რომ „მანჩესტერი“ და „ლივერპული“ ლიგის თასის ფინალში ხვდებიან ერთმანეთს. ამ მატჩზე ცალკე მოგახსენებთ, აქ კი აღვნიშნოთ, რომ „იუნაიტედის“ უთამაშებლობა „არსენალს“ მთელი რვა ქულით წინ გაჭრის, ხოლო „ნიუკასლს“ მეორე ადგილზე ჩაზიარების საშუალებას აძლევს.

„არსენალი“ ხვალ თამაშობს და მისი მეტოქე „ჩარლტონია“, ერთი შეხედვით, „არსენალმა“ იოლად უნდა დაამარცხოს მეტოქე, მაგრამ აქ რამდენიმე გარემოებაა გასათვალისწინებელი. პირველი: „მეთოფეები“ ამსტერდამში ჩემპიონთა ლიგის მძიმე მატჩით არის გადაღლილი. მეორე: „ჩარლტონი“ ბრწყინვალე ფორმაშია და ზედიზედ ხუთი მოგებით მეექვსე ადგილზე აღზევდა. მესამე: წინა სეზონში, „ჰაიბერიზე“, სტუმრებმა სენსაცია გამოაცხეს და 4:2 მოიგეს. ამასთანავე, „არსენალს“ ახლადნაოპერაციები ეშლი კოული დააკლდება.

ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“, ფაქტობრივად, მესამე ადგილისა და გაისისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურის ბედი წყდება. თუ „ნიუკასლი“ „ჩელსის“ — უახლოეს მდევარს — დაამარცხებს, სხვაობას შვიდ ქულამდე გაზრდის და მერე მიდი და დაეწიე. ხოლო თუ „ჩელსიმ“ მოიგო, არაფერიც არ გაირკვევა.

მასპინძლები უკეთეს გუნებაზე ხვდებიან ამ შეხვედრას. გუნება კი მათ ლიგაში „ლევერკუზენის“ დამარცხებამ და ალან შირერის ჰეთ თრიქმა გაუხალისა. ესეც რომ არა, საკუთარ სტადიონზე ნიუკასლელები ისედაც თავდაჯერებულები არიან — იქ ხომ სექტემბრის მერე არ დამარცხებულან.

ლონდონელებმა კი წინა ტურში ცივი შხაპი მიიღეს — „ბლექბერნთან“ შინ 1:2 წააგეს, თუმცა „ნიუკასლთან“ ბოლო ხანს ძლიერად თამაშობენ. პირველ წრეში 3:0 მოიგეს, შარშან ამ დროს — 2:1.

„ჩელსის“ უბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი მანუელ პეტი, ხოლო „ნიუკასლს“ ტრავმების გამო ჟერმენ ჯენასი და ნოლბერტო სოლანო დააკლდება, ეგებ კირონ დაიერმაც ვერ ითამაშოს.

მიდლსბროელი ფანები „ევერტონთან“ საშინაო შეხვედრაში ჟუნინიოს დაბრუნებას ელიან. რივერსაიდულ კლუბში დიდი ზარ-ზეიმით გადაყვანილმა ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ამ კვირაში სარეზერვო გუნდში მოსინჯა ძალა, სადაც გოლიც გაიტანა. თუმც უფრო მოსალოდნელია, რომ მას შეცვლაზე შეიყვანენ. „ევერტონმა“ „გუდისონ პარკზე“, სექტემბერში 2:1 მოუგო „ბოროს“ და ახლაც თუ გამორჩა სამ ქულას, ვინძლო საუეფასთასო ზონაში უფრო მყარად მოიკიდოს ფეხი.

„ბლექბერნ როვერსი“ ის გუნდია, შინ 17 ნოემბრის მერე რომ არ დამარცხებულა (0:1 „ევერტონთან“), მისი მეტოქე „მანჩესტერ სიტი“ კი ბოლო ექვსი სტუმრობიდან მხოლოდ ერთხელ დაბრუნდა უქულოდ (0:2 „ნიუკსლთან“). ორივე გუნდი გაისად უეფას თასზე თამაშს უმიზნებს და მათი დღევანდელი მატჩი ამითაც იქნება მნიშვნელოვანი. „სიტის“ მენეჯერ კევინ კიგანს კი დაცვაში იმ ნაპრალების ამოვსება მართებს, რომლის გამოც წინა ტურში „არსენალისგან“ ხუთი გოლი გაუშვა.

„ვესტ ჰემმა“ წინა ტურში მეხუთე პრემიერლიგური გამარჯვება მოიპოვა „ვესტ ბრომვიჩთან“, მაგრამ ამ ხუთიდან საშინაო მხოლოდ ერთია, ანუ ლონდონელი „ჩაქუჩები“ „აპტონ პარკზე“ საზიზღრად თამაშობენ. მეტოქეც არ ჰყავთ ხელწამოსაკრავი — მერვეადგილოსანი „ტოტენჰემი“. ლონდონურ დუელში (ამათი შეხვედრა დერბად არ მოიხსენება) ძველი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს ვეტერანი ფორვარდი ლეს ფერდინანდი, თუმცა სენტიმენტობისთვის ნაღდად არ ეცლება — მის „ვესტ ჰემს“ ყოველი დაკარგული ქულა სულ უფრო და უფრო აახლოვებს პირველ დივიზიონთან.

„ტოტენჰემმა“ „უაით ჰართ ლეინზე“, პირველ წრეში 3:2 მოუგო დღევანდელ მეტოქეს, მაგრამ ახლა უფრო გაუჭირდება — რობი კინის, სტეფან ივერსენისა და გუს პოიეტის თამაში ფრიად საეჭვოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

დავით თავართქილაძე

## ქართულ-გერმანული ლოზუნგი ედუარდ, გაიარე! რა ელის მიუნხენს ამჯერად?



ედუარდ გაიერი

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიურნბერგი | — | ვოლფსბურგი |
| კოტბუსი | — | ბაიერნი |
| ლევერკუზენი | — | ვერდერი |
| ბოხუმი | — | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | — | ჰანზა |
| გლადბახი | — | შალკე |
| მიუნხენ 1860 | — | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| ჰამბურგი | — | ჰერტა |
| არმინია | — | შტუტგარტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 15 | 5 | 2 | 47:15 | 50 |
| დორტმუნდი | 22 | 11 | 7 | 4 | 37:19 | 40 |
| შტუტგარტი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:26 | 39 |
| შალკე | 22 | 9 | 9 | 4 | 31:23 | 36 |
| ვერდერი | 22 | 10 | 4 | 8 | 37:34 | 34 |
| ჰერტა | 22 | 9 | 6 | 7 | 28:25 | 33 |
| ჰამბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 27:28 | 33 |
| მიუნხენი | 22 | 9 | 5 | 8 | 32:33 | 32 |
| ბოხუმი | 22 | 8 | 6 | 8 | 38:37 | 30 |
| ჰანზა | 22 | 7 | 7 | 8 | 25:26 | 28 |
| ვოლფსბურგი | 22 | 8 | 3 | 11 | 24:29 | 27 |
| არმინია | 22 | 6 | 8 | 8 | 24:29 | 26 |
| ნიურნბერგი | 22 | 7 | 3 | 12 | 27:36 | 24 |
| ლევერკუზენი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:37 | 23 |
| ჰანოვერი | 22 | 6 | 5 | 11 | 30:42 | 23 |
| კოტბუსი | 22 | 6 | 5 | 11 | 22:39 | 23 |
| გლადბახი | 22 | 6 | 4 | 12 | 22:30 | 22 |
| ლაუტერნი | 22 | 5 | 6 | 11 | 25:33 | 21 |

**რამდენიმე კვირის წინ** „ბაიერნს“ და „კოტბუსს“ დიდი უფსკრული ჰყოფდა. თუ ცხრილს შევავლებთ თვალს, ეს დღესაც ასეა, მაგრამ თავს ნუ მოიტყუებთ — ბოლო ხუთ ბუნდესლიგურ მატჩში კოტბუსის „ენერგიმ“ 13 ქულა მოინაგრა, ხოლო მიუნხენის „ბაიერნმა“ 11.

ყველაფრის თავი და თავი ედუარდ გაიერი გახლავთ. ახლა ეს კაცი გერმანიაში ყველაზე დიდი ედუარდია — გაიერის გაწვრთნილი „კოტბუსი“ დიდი შემართებითა და მობილურობით კრეფს ქულებს ბოლო მატჩებში.

„თუ მაღალი დისციპლინით ვითამაშებთ და თუ თითოეული ფეხბურთელი ყველა იმ საუკეთესო თვისებას გამოავლენს, რაც აქვს, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია“ — ასეთია ედუარდის წინასამატჩო სიტყვა.

ცხადია, ჯაბანი არც ოტმარ ჰიცფელდია — მისი გუნდი ხომ მთელი 10 ქულით გადაჰყურებს უახლოეს მდევარს.

ბოლო ბაიერნული ამბები კი „სარბიელის“ მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი — კლუბის მიერ „კირხმედიასგან“ მიღებული შემოსავლების ამბავს ჯერ გერმანული პროფესიული ლიგა იძიებს, ხოლო მიხაელ ბალაკს მწვრთნელის კრიტიკისთვის დააყაჩინეს ევროები.

მიუნხენიდან ოდნავ ჩრდილოეთით გადავინაცვლოთ, ქალაქ ნიურნბერგში. იქ „ვოლფსბურგი“ სტუმრობს, რომელსაც გასვლაზე არასდროს მოუგია „ნიურნბერგისთვის“. ვოლფსბურგელებს რამდენიმე კაცი ჰყავთ დაშავებული, რომელთაგან ზოგი ითამაშებს, ზოგი ვერა. დისკვალიფიცირებული კი ორი ფოლკსვაგენელია — შუახაზელი ჰანს შარპეი და ბულგარელი შემტევი მარტინ პეტროვი.

ძალიან საინტერესოა რა მოხდება ლევერკუზენში. თომას ჰიორსტერის გუნდი სანახევროდ სადასტაქროა და, ცხადია, ვერც ჩემპიონთა ლიგაზე „ნიუკასლთან“ მარცხი გამოუკეთებდა გუნებას. სტუმარი „ვერდერი“ მცველ ფრანკ ბაუმანის გარეშე კი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ, ფრანგ პლეიმეიქერ იოან მიკუს გაუვიდა დისკვალიფიკაცია.

წინა სეზონის მეორებუნდესლიგელები ბოხუმში გაარჩევენ საქმეს. „ბოხუმს“ თავისი საუკეთესო შემტევი, არაესპანური გვარის ესპანელი ტომას კრისტიანსენი ჰყავს ტრავმირებული. „ჰანოვერს“ ასეთი მძიმე დანაკლისი არა აქვს, მაგრამ არ ულხინს — მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნების კანდიდატია.

ჩემპიონი „დორტმუნდი“ ორ მთავარ კაცს მოისაკლისებს — წინა ტურის ვესტფალიურ დერბიში იენს ლემანი გააგდეს, ხოლო ტორსტენ ფრინგსმა სადისკვალიფიკაციო „ყვითელი“ დაიმსახურა. თუმც შინ „ჰანზასთან“ მატჩში „ბორუსია“ მაინც ფავორიტია.

დორტმუნდელთა გლადბახელი სეხნია კი ზამერელთა მტარვალ მტერ „შალკეს“ მასპინძლობს. თუ „გლადბახმა“ წააგო, შესაძლოა, ჰანს მაიერი მისი მწვრთნელი აღარ იყოს — წინა ტურში გლადბახელები სულაც 0:4 დამარცხდნენ შტუტგარტში. „ხუმარებს“ არ ეყოლებათ ლემანის დარად დერბიში „გაწითლებული“ ვიქტორ აგალი და ფრინგსივით „გაყვითლებული“ მარცხენაფლანგელი იორგ ბიომე. ხოლო მხცოვანი ვარსკვლავი ანდრეას მიოლერი, რა ხანია ტრავმირებულია.

ცხრილში მეზობლები არიან „ჰამბურგი“ და „ჰერტა“ და საერთო სხვაც აქვთ — წინა ტურში ჩრდილოელები კაიზერსლაუტერნში ჩაფლავდნენ, ხოლო ბერლინელები „ბოავიშტამ“ დაიფრინა უეფას თასიდან. ჯანმრთელობის მხრივ კი უპირატესობა „ჰერტას“ აქვს — ჰამბურგელებს ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავთ შეუძლოდ.

უეფას თასზე ხელი მოეცარა „შტუტგარტსაც“ და ფელიქს მაგათის გუნდიც ახლა მთლიანად გერმანულ ფრონტზეა გადართული. მაგათელები ბილეფელდში სტუმრობენ ნაკლებამბიციურ „არმინიასთან“. მასპინძლებს შუახაზელი ფატმირ ვატა და ფორვარდი ილია არაჩიჩი არ ეყოლებათ — ისინი ჯანზე არ არიან.

სტატისტიკურად ძალიან საინტერესოა „მიუნხენ 1860“-ის და „კაიზერსლაუტერნის“ ჯახი. ბოლო რვა მიუნხენური მატჩიდან „1860“-მა მხოლოდ ერთხელ მოუგო „ლაუტერნს“, ხოლო „ოლიმპიაშტადიონზე“ ბოლო სამი მატჩი ამ გუნდებს შორის „კაიზერსლაუტერნმა“ ერთნაირი ანგარიშით მოიგო — 4:0. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მიუნხენელთა ტრავმირებული, „ბებერი“ გამთამაშებელი თომას ჰესლერი კვლავაც არაა მზად სათამაშოდ.

**დავით თავართქილაძე**

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

## პუიოლს ყბა გაუტეხეს სევილიაში აპირებენ

**„რომასთან“** მარცხი ჩვენთვის საოცრად მტკივნეული იყო — თქვა ვალენსიელმა ნახევარმცველმა დავიდ ალბელდამ — მაგრამ თუ სადმე არსებობს გუნდი, რომელსაც ტკივილის დავიწყება და მომდევნო შეხვედრაში გამარჯვების მოპოვება შეუძლია, „ვალენსია“ სწორედ ასეთი გუნდია.“

ხვალ „ვალენსია“ ვიგოში თამაშობს და იქაურების დიდი ხნის ბოღმა აჩრჩობს — აგერ უკვე რვა წელია, ვალენსიელებს „სელტა“ მის მოედანზე ვერ დაუმარცხებიათ. მაგრამ განა მხოლოდ ბოღმის ამბავია — ესპანეთის მოქმედი ჩემპიონი კვლავაც ჩემპიონობის მაძიებელია და ვინ იცის, ეგებ საქმე ისეც წავიდეს, ამ ტურის მერე ლიდერად იქცეს. უმოტივაციო არც „სელტაა“. გალისიელებს თავი საუეფასთასო ზონაში კი დაუგულებიათ, მაგრამ არც ოთხეულში გასვლა ჩანს მათთვის წარმოუდგენელ ამბად.

შემადგენლობების თვალსაზრისით კი ასეთი ვითარებაა: მასპინძლებს რუსი კაპიტანი ალექსანდრ მოსტოვოი არ ეყოლებათ, რომელიც წინა ტურში „მალაგასთან“ გაძევეს. სტუმართაგან საეჭვოა არგენტინელი გამთამაშებლის, პაბლო აიმარის თამაში, ვინაც ტრავმას იშუშებს.



კარლეს პუიოლს ყბა განზე მოუქციეს

„ალავესმა“ ერთი კვირის წინ „დეპორტივოსგან“ 0:6 იგემა და ახლაც მძიმე მატჩი ელის. ვიტორიელთა მეტოქე მადრიდის „რეალია“, რომელთანაც პირველ წრეში 2:5 წააგო. „რეალს“ პრობლემები აქვს. ლუიშ ფიგუს და რაულს მცირე ტრავმები აწუხებთ და ეგებ ვერ ითამაშონ, კლოდ მაკელელე კი დისკვალიფიცირებულია. თუ რაული დროულად ვერ მომჯობინდა, მის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის გმირი, ხავიერ პორტილიო ითამაშებს, გუტის კი დელ ბოსკე ნახევარდაცვაში გამწესებას უპირებს.

„ბარსელონას“ პამპლონაში ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელის, ფილიპ კოკუს და კარლეს პუიოლის გარეშე მოუწევს თამაში. ორივე „ინტერთან“ მატჩისას დაშავდა — კოკუს მუხლი ტკივა, პუიოლს კი სულაც ყბა გაუტეხეს. ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ პუიოლს წელიწადზე მეტ ხანს უთამაშებელი შვედი პატრიკ ანდერსონი შეცვლის. საეჭვოა, პატრიკ კლუივერტის თამაშიც.

სხვა მხრივ კი, „ბარსელონას“ რა უჭირს — რადომირ ანტიჩის მისვლის მერე შვიდი საფეხურით აიწია, ხოლო ბოლო ოთხ მატჩში გოლი არ გაუშვია.

ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ „რასინგს“ დიდი გამოცდა ელის — „ალავესის“, „რაიო ვალეკანოს“ და „ვილიარეალის“ დამარცხება დიდი გმირობა არ არის, „დეპორტივო“ კი სხვა საქმეა. „დეპორტივოს“ სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ეყოლება გამთამაშებელი და გუნდისთვის მართლაც დიდი ძალა, ხუან კარლოს ვალერონი, რომელიც, შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგაში „ბაზელთან“ შეცვლაზე შევიდა. შეტევაში ლაკორუნიელებს, ცხადია, „ალავესის“ დამწიოკებლები, დიეგო ტრისტანი და როი მაკაი ეყოლებათ.

„მალაგამ“ ხუთშაბათს დიდი საქმე გააკეთა — ათენში აეკ-ს მოუგო და უეფას თასის მეოთხედფინალში გავიდა, თუმც პრიმერადივიზიონში ვერ ყოჩაღობს. მალაგელთა მეტოქე „ატლეტიკოა“, რომელმაც წინა ტურში სრულიად მოულოდნელი მარცხი იწვნია ბოლოადგილოსან „უელვასგან“.

მადრიდელებს დისკვალიფიკაციის გამო ოდინდელი ბარსელონელი მცველი, სერხი და შუახაზელი ნაგორე დააკლდებათ, დანარჩენებმა კი, რომლებიც მწვრთნელმა ლუის არაგონესმა კარგად გაჯორა, ეგებ რამე გაახერხონ და უეფას თასის ზონას ძალიან აღარ ჩამორჩნენ.

არაგონესის რისხვის მიზეზი, „უელვა“, ბილბაოს სტუმრობს და უპირველესი ფორვარდი რაულ მოლინა არ ეყოლება. ბასკები, რომლებსაც ბოლო ხუთი თამაში არ წაუგიათ, ანდალუსიელ სტუმრებს გრიპშეყრილი (იქაც მიაღწია) ისმაილ ურსაისის გარეშე დაუხვდებიან.

სევილიაში დერბია. თუ ამ ტურში სადმე მაშხალამ ბოლი აუშვა, ქვა გავარდა, სკამი მოიგლიჯა და სხვა მსგავსი რამეები მოხდა, კითხვაც არ გინდათ, უთუოდ სევილიაში მოხდება. რაღა შორს წავიდეთ, ბოლო ორი სევილიური დერბისას სწორედ ასეთი ამბები დატრიალდა.

ამასობაში „რეალ სოსიედადი“ ვალიადოლიდში ჩადის, იქიდან შინ დაბრუნებული კი ლიდერი ან იქნება, ან არა.

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბილბაო | — | უელვა |
| ესპანიოლი | — | მალიორკა |
| ალავესი | — | რეალი |
| **ხვალ** | | |
| სელტა | — | ვალენსია |
| ატლეტიკო | — | მალაგა |
| ბეტისი | — | სევილია |
| ოსასუნა | — | ბარსელონა |
| ვალიადოლიდი | — | სოსიედადი |
| რასინგი | — | დეპორტივო |
| ვილიარეალი | — | რაიო ვალეკანო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 23 | 13 | 8 | 2 | 40:27 | 47 |
| რეალი | 23 | 12 | 9 | 2 | 49:24 | 45 |
| ვალენსია | 23 | 13 | 6 | 4 | 40:17 | 45 |
| დეპორტივო | 23 | 12 | 6 | 5 | 37:25 | 42 |
| სელტა | 23 | 11 | 4 | 8 | 29:21 | 37 |
| ბეტისი | 23 | 10 | 6 | 7 | 34:33 | 36 |
| ატლეტიკო | 23 | 8 | 8 | 7 | 35:31 | 32 |
| ბარსელონა | 23 | 8 | 6 | 9 | 35:30 | 30 |
| ბილბაო | 23 | 8 | 6 | 9 | 35:38 | 30 |
| რასინგი | 23 | 9 | 2 | 12 | 29:29 | 29 |
| სევილია | 23 | 7 | 8 | 8 | 18:18 | 29 |
| მალაგა | 23 | 6 | 10 | 7 | 29:29 | 28 |
| ვილიარეალი | 23 | 7 | 7 | 9 | 21:26 | 28 |
| ალავესი | 23 | 7 | 7 | 9 | 27:39 | 28 |
| მალიორკა | 23 | 8 | 4 | 11 | 26:38 | 28 |
| ოსასუნა | 23 | 7 | 6 | 10 | 24:29 | 27 |
| ვალიადოლიდი | 23 | 8 | 3 | 12 | 22:28 | 27 |
| ესპანიოლი | 23 | 6 | 4 | 13 | 24:34 | 22 |
| რაიო | 23 | 6 | 4 | 13 | 22:36 | 22 |
| უელვა | 23 | 4 | 6 | 13 | 21:45 | 18 |

# დამშვიდდით, თქვენ გელით სელტიკი
# იყო კვიცი, გახდა რაში

## უეფას თასი 2002-2003
### UEFA CUP მერვედფინალი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

**ბეშიქთაში** (თურქეთი) 4:2 **სლავია** (ჩეხეთი) (0:1)
1:0 პანჩუ (41), 2:0 რონალდუ (61), 3:0 აჰმეთ დურსუნი (66), 4:0 მანსიზი (70), 4:1 დოშტალეკი (773), 4:2 ჰრდლიჩკა (84)
ბეშიქთაში: კორდობა, ტაიფური, აჰმეთ ილდირიმი, რონალდუ, აჰმეთ დურსუნი, პანჩუ (ჯუნტი 76), სერგენი (იასინი 60), ტამერი, იბრაჰიმი, მანსიზი, ალი ერენი (თოლგა 79)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
სლავია: ჩერნი, ლ. დოშეკი, ტ. დოშეკი (ადაუტო 71), ვახოუშეკი (ჰრდლიჩკა 78), დოშტალეკი, სკაჩელი, გედეონი, პეტროუში, პიტაკი, ბეიბლი, მ. მიულერი
მწვრთნელი: მიროსლავ ბერანეკი
გაფრთხილება: აჰმეთ დურსუნი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
23 000 მაყურებელი

**აეკ** (საბერძნეთი) 0:1 **მალაგა** (ესპანეთი) (0:0)
0:1 მანუ (27)
აეკ: ხიოტისი, ბორბოკისი, კოსტენოღლუ (ს. კონსტანტინიდისი 79), ზაგორაკისი, მალადენისი, ცარტასი (პეტკოვი 69), ნიკოლაიდისი, კასაპისი, რაიტი, ლაკისი, გეორგატოსი (იეიჩი 46)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
მალაგა: კონტრერასი, როტეტა (ლოპეს ბრავო 32), ვალკარსე, რომერო, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მანუ, სანდრო (მიგელ ანხელი 80), მუსამპა, დელი ვალდესი (კანაბალი 73)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: სანსი, ზაგორაკისი, მიგელ ანხელი
მსაჯი: პოლ სტაილზი (ინგლისი)
19 500 მაყურებელი

**შტუტგარტი** (გერმანია) 3:2 **სელტიკი** (შოტლანდია) (1:3)
0:1 ტომპსონი (13), 0:2 სატონი (15), 1:2 ტიფერტი (38), 2:2 გლები (75), 3:2 მუტცელი (87)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ვენცელი, დანგელმაირი (განია 46), ჰინკელი, გერბერი (ზაიცი 80), ტიფერტი (მუტცელი 65), სოლდო, გლები, ბალაკოვი, ამანატიდისი, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
სელტიკი: დუგლასი, ვალგაერენი, უ. ლაურსენი, ბალდე, ტომპსონი, ლამბერტი (მელოუნი 82), ლენონი, პეტროვი, აგატი, სატონი (მაკნამარა 87), ჰარტსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ბალაკოვი, მუტცელი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
50 600 მაყურებელი

**დენიზლისპორი** (თურქეთი) 2:2 **პორტუ** (პორტუგალია) (1:6)
0:1 დერლეი სილვა (43), 1:1 ერსენი (52), 2:1 მუსტაფა (58), 2:2 კლეიტონი (87)
დენიზლისპორი: ჰაინენი, ჰაქანი, კრატოხვილი, ერსენი, მუსტაფა, ბენჩიკი (სერმათი 80), სერდალი, თანდოგანი, ოზგური, ერთუღრული (კარამანი 46), სერვეთი
მწვრთნელი: რიზა კალიმბეი
პორტუ: ვიტორ ბაია, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, რიკარდუ კოშტა, მარიუ სილვა, პეიშოტო (კლეიტონი 80), დეკო სოუზა (მ. ფერეირა 53), ალენიჩევი, დერლეი სილვა, იანკაუსკასი (პოსტიგა 83), ბუზაკი
მწვრთნელი: ჟოზე მურინიუ
გაფრთხილება: ჰაქანი, ერთუღრული
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
15 000 მაყურებელი

**ანდერლეხტი** (ბელგია) 2:0 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) (0:3)
1:0, 2:0 იესტროვიჩი (71, 81)
ანდერლეხტი: ზიტკა, ილიჩი, ვანდერეგე, დე ბუკი, იესტროვიჩი, ბასეჯიო, კოლარი (მორნარი 79), დოლი, დინდანე, ტიჰინენი, ლოვრე (სეოლი 53)
მწვრთნელი: უგო ბროოსი
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ვოკოლოსი, კირიაკოსი, ბასინასი, ლიბეროპულოსი, კარაგუნისი (ხარიჩი 87), ფისასი, ოლისადებე (მ. კონსტანტინუ 76), სეიტარიდისი, მიკაელსენი (მ. კონსტანტინიდისი 58), გუმასი
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
გაფრთხილება: ვოკოლოსი, დინდანე, კოლარი, ლიბეროპულოსი, ვოკოლოსი, ვანდერეგე, კირიაკოსი
გაძევება: ვოკოლოსი (43), კონსტანტინიდისი (85)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
17 000 მაყურებელი

**ლივერპული** (ინგლისი) 2:0 **ოსერი** (საფრანგეთი) (1:0)
1:0 ოუენი (67), 2:0 მერფი (72)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო (ბისკანი 77), ჰიპია, ტრაორე (შმიცერი 46), დიუფი (ჰამანი 62), მერფი, ჯერარდი, რიისე, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ოსერი: კოლი, რადეტი, ჟაურე, ბუმსონგი, მექსეში, ფეიე, ლაშუერი, ჯ. სისე (აკალე 77), ტაინიო, ფადიგა (მვარუვარი 77), მატისი
მწვრთნელი: გი რუ
გაფრთხილება: ტრაორე, მატისი, ტაინიო
მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
34 252 მაყურებელი

**ბოავიშტა** (პორტუგალია) 1:0 **ჰერტა** (გერმანია) (2:3)
1:0 ავალოსი (83)
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი (კლაუდიუ 63), პაულუ ტურა, ავალოსი, ლოია (ალეშანდრე 46), პედრუ სანტუში, ფილიპე, პედროსა (იური 75), მარტელინიუ, ჟორჟე კოუტუ, ელპიდიუ სილვა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, მარქსი, მარსელინიო, გოორი (სვერისონი 87), ალვეში (პინტუ 70), პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტეევენსი
გაფრთხილება: ჟორჟე კოუტუ, ფილიპე, მარსელინიო, დარდაი, დარდაი, ელპიდიუ სილვა
გაძევება: დარდაი (65), ფილიპე (80)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
6 000 მაყურებელი

**ვისლა** (პოლონეთი) — **ლაციო** (იტალია) (3:3) გადაიდო

### მეოთხედფინალის წილისყრა

მალაგა (ესპანეთი) — ბოავიშტა (პორტუგალია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ვისლა (პოლონეთი) ან ლაციო (იტალია)
პორტუ (პორტუგალია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)

*პირველი მატჩები გაიმართება 13 მარტს, საპასუხოები — 20 მარტს*

„**დასანანია,** დაიჩივლა მატჩის შემდეგ ფელიქს მაგათიმ, მაგრამ მარსელო ბორდონს და ფერნანდუ მეირას სრულფასოვანი შემცვლელები ვერ მოვუნახე. მათი არყოფნა ძვირად დაგვიჯდა, რადგან დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა დასაწყისშივე რთულ მდგომარეობაში ჩაგვყარა".

ბორდონი და მეირა „შტუტგარტის" მცველები არიან. ორივე დისკვალიფიცირებული იყო. უამათოდ კი, სანამ მასპინძელთა უკანა ხაზი მოწესრიგდებოდა, „სელტიკმა" თხუთმეტ წუთში ორჯერ აფართხალა ბურთი ჰილდებრანდის სამფლობელოში.

სტუმართაგან პირველ ნახევარში განსაკუთრებით ფრანგი თავდამსხმელი, დიდიე აგატი გამოირჩეოდა. „სელტიკს" სასჯელმოხდილი უელსელი ჯონ ჰართსონიც დაუბრუნდა და აგატის ჩაწოდებული ბურთი სწორედ ჰართსონმა დაუგდო ტომპსონს, რომელმაც ანგარიში გახსნა.

მალე ისევ აგატიმ ჩაიშრიალა მარჯვენა ფლანგზე და კრისს სატონს კარის წინ მიაწოდა. სატონს მუხლი არ აჰკანკალებია — 2:0, მაგრამ „შტუტგარტმა" გერმანული მანქანა აამუშავა და უტეხი სული გამოავლინა. დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში „სელტიკი" ჭკვიანურად უმკლავდებოდა მასპინძელთა იერიშებს, თუმცა ტაიმის მიწურულს შოტლანდიელები მაინც შეცდნენ, რითაც ტიფერტმა ისარგებლა და სხვაობა შეამცირა.

შესვენების შემდეგ სტუმრები ისევ დალაგდნენ დაცვაში. ისევ გაუძლეს 30 წუთი, მაგრამ „შტუტგარტის" ბელარუსმა ლეგიონერმა გლებმა განეასთან გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაასრულა. ამის შემდეგ დაიწყო უმძლავრესი შტურმი „სელტიკის" კარის ასაღებად და შეცვლაზე შესულმა მუტცელმა მესამე გაიტანა.

„მეგონა, მატჩი აღარ დასრულდებოდა, ისე გაიწელა ბოლო წუთები" — თქვა და შვებით ამოისუნთქა მარტინ ონილმა. „წაგება საწყენია, მაგრამ სტუმრად ორი გოლი გავიტანეთ და მეოთხედფინალშიც ჩვენ გავედით" — დასძინა მანვე.

პორტუში „ბოავიშტამ" შეპირებული ბრძოლა გაუმართა „ჰერტას". შეხვედრის უმეტესი ნაწილი ჯაჯგურში გაილია. ბერლინელები არგაშვებაზე თამაშობდნენ და მატჩი საგოლე მომენტების სიმწირითაც გამოირჩა. „ბოავიშტას" კართან ერთადერთი რეალური მომენტი ტორბენ მარქსს მეორე ტაიმში ჰქონდა. მისი დარტყმული რიკარდუმ მოიგერია. 65-ე წუთიდან სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ, რადგან პალ დარდაი ალან ჰამერმა გააძევა. მერე მას მასპინძელი ფილიპეც მიჰყვა. მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე „ბოავიშტას" არგენტინელმა მცველმა ავალოსმა ნანატრი გოლი გაიტანა და სტადიონზე ისეთი ამბავი ატყდა, რომ დაახლოებით 5-6 წუთის განმავლობაში მსაჯები მოედანზე ბოავიშტელი ფეხბურთელების დაბრუნებას მოუნდნენ. ფეხბურთელებმა მაისურები აქეთ-იიქით მოისროლეს, მათ გულშემატკივრები დაედევნენ, გულშემატკივრებს წესრიგის დამცველები და ბოლოს მატჩი მაინც განახლდა. განახლდა და „ბოავიშტას" კარში გოლიც გავიდა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. მერე ამის გამო ატყდა დავიდარაბა, მაგრამ ისიც ჩააცხრეს.



ლივერპული — ოსერი. ფრანგთა კარში გატანილი გოლით მაიკლ ოუენი იან რაშს გაუტოლდა

პორტუგალიას უეფას თასის მეოთხედფინალში ორი გუნდი ჰყავს და ორივე პორტუდან. „პორტუმ" დენიზლიში, „ათათურქის" სახელობის სტადიონზე ფრე გაახერხა. სტუმრებმა ისე შეუტიეს თავიდანვე, თითქოს კიდევ ექვსი გოლი სჭირდებოდათ. დერლეი სილვამ პირველი ტაიმის მიწურულს მეურვე დაჩაგრა და დიკ ჰაინენს გაუტანა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები მოყოჩაღდნენ. ერსენმა ჟორჟე კოშტას ბურთი წაჰგვარა და ვიტორ ბაიას ზურგს უკან ჩაუშვა. გოლმა „დენიზლისფორის" ქომაგებიც გაახალისა. მალე მუსტაფამ ზუსტი თავურით თავისები დააწინაურა, მაგრამ თურქებს გამარჯვება მაინც არ ეწერათ, რადგან კლეიტონმა ელეგანტურად, ქუსლით შეაცურა ბურთი ჰაინენის კარში.

„ბეშიქთაშს" პირველ ტაიმში საკმაოდ გაუჭირდა ჯანიან ჩეხებთან ჭიდილი. თავიდან „სლავიამ" იმძლავრა, მაგრამ ორი საგოლე მომენტი გააცუდა. თურქებმა ტაიმის შუაწელში გაიტანეს გოლი, მაგრამ აჰმეთ დურსუნმა ბურთს ხელი წაშველა, რისთვისაც ყვითელი ბარათი უძღვნეს. შესვენებამდე „ბეშიქთაშმა" მაინც იძალა, დანიელ პანჩუმ დაახლოებით ოცდაორი მეტრიდან ზუსტად დააქუხა და ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს. „შავი არწივი" „სლავიას" დააცხრა და ცხრაწუთიან მონაკვეთში კარიდან სამჯერ გამოატანინეს ბურთი პრალელებს. თითქოს ჩეხები უნდა გატეხილიყვნენ, მაგრამ სტუმრებმა ჯერ მოპოვებული თერთმეტმეტრიანი გამოიყენეს, მერე ჰრდლიჩკას თავურიც მიამატეს. დამატებულ წუთებზე კი პიტაკმა საჯარიმოდან მეოთხედფინალში „სლავიას" გამყვანი გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა მავანი ჩეხი ფეხბურთელი თამაშგარეში დალანდა და არ ჩათვალა.

ამოუცნობ სვლას განაგრძობს „ლივერპული". მაგალითად, „ბირმინგემს" ვერ მოუგო, სამაგიეროდ, ორჯერ მოუგო „ოსერს", თუმცა გვარიანად კი გაუჭირდა.

ლივერპულელებმა თავიდანვე სცადეს სტუმართა მოგუდვა. გი რუს ბიჭებმა მასპინძლებს გასაქანი არ მისცეს და პირველი ტაიმი უგოლოდაც მიილია, თუმცა მეხუთე წუთზე ლიონელ მატისი ჯიმი ტრაორეს ხელით რომ არ დაემუხრუჭებინა, ეგებ „ოსერი" დაწინაურებულიყო.

შესვენების შემდეგ კარგი მომენტი გააცუდა ჯიბრილ სისემ, რომელმაც იან ლაშუერის პასი ვერ შეირგო და სუსტად დაჰკრა ბურთს. „ლივერპულმა" დიტმარ ჰამანისა და ვლადიმირ შმიცერის შესვლის შემდეგ გაილაღა. ჰამანის წამოწყებული, მერფიმ ქუსლით გააგრძელა, ოუენი მცველებს დაუსხლტა და წამოწოლილ ფაბიენ კოლის ბურთი ზემოდან გადავლო. ეს იყო მაიკლის 20-ე გოლი ევროთასებზე, რომლითაც იგი იან რაშს გაუტოლდა.

მეორე გოლი ფაბიენ კოლის ნამუსზეა. მან დენი მერფის შორიდან დარტყმულის უცნაურად მოგერიება სცადა და მისი ხელიდან ბურთი კარში შებრძანდა. „შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ, გოლის გატანა დროის ამბავია" — ბრძანა ჟერარ ულიემ მატჩის შემდეგ.

„მალაგამ" მოიგო იქ, სადაც შარშან მადრიდის „რეალმა" კინაღამ წააგო. ესპანელებმა ათენურ გიჟმაჟ ატმოსფეროს გაუძლეს და პირველ ტაიმში გატანილი გოლით იმარჯვეს. აეკ-ის მეკარემ, ხიოტისმა კიკი მუსამპას უძლიერესი დარტყმული მოიგერია, მაგრამ ბურთი ისევ მუსამპას მოუგორდა. კიკომ კარის წინ ეულად დარჩენილ მანუს მიაწოდა და ერთადერთი გოლიც გავიდა.

„პანათინაიკოსი" „ანდერლეხტთან" პირველ ტაიმშივე ათი კაცით დარჩა. შესვენების შემდეგ ბერძნებს კიდევ ერთი მოთამაშეც გაუძევეს. ბელგიელებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს გაარღვიეს სტუმართა დაცვა, მაგრამ იესტროვიჩის ორ გოლს ის მესამე ვეღარ მიამატეს, თამაშს კიდევ ნახევარ საათს რომ გააგრძელებდა.

**მაშა ხუციშვილი**



ანდერლეხტი — პანათინაიკოსი. გეორგიოს კარაგუნისი ბელგიელთა კაპიტან გლენ დე ბუკს ჩაუწვა



გიო ახვლედიანის

სვეტი

# ხუთშაბათის დუქანი

აბა, დავფიქრდეთ, როგორ დავივიწყეთ უეფას თასი.

არა, ტოტალიზატორის მოყვარულებს არ დავიწყებიათ, ხშირ-ხშირად ჩაწერენ ხოლმე ამ თასისთვის მებრძოლებს თავიანთ ქვითრებში, მაგრამ ამას ფეხბურთის ცქერასთან აბა, რა კავშირი აქვს?

ჩვენ ისე გავეჩვიეთ ჩემპიონთა ლიგის და ნაირგვარი ჩემპიონატების ცქერას, რომ უეფას თასი აღარც გვახსოვს, აღარ ეტევა ჩვენს თვალებში. თანაც, თუ სხვა რამეები პირდაპირ გეცემა თვალში, უეფას თასის თამაშები ნაირგვარ ეროვნულ არხებზეა საძებარი და „ევროსპორტზე" ნაშუაღამევს დასადარაჯებელი.

ახლა თქვენ იტყვით, უეფას თასი თვითონ უეფამ დაივიწყა, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფულს გამოეკიდაო, მისი პრესტიჟი დაცემულიაო და სხვა. მე კი მოგახსენებთ, რომ ხუთშაბათ საღამოს გვიანობამდე ჩავუჯექი ამ თასის თამაშებს და მივხვდი რაც მენატრებოდა — ჩვეულებრივი, ნაღდი, უბრალო, სახალხო ფეხბურთი. რეპორტაჟების სტილიც კი ძალიან მონატრებული იყო, კამერებიც ისე იდგა, რომ ჩემპიონთა, პრიმერა, პრემიერ და სერია რამეებში რომ აღარ დგას ხოლმე. მოუწყობელი სტადიონებიც მშვენიერი საცქერი გამოდგა და მოედანზე შემოვარდნილი სათადარიგოები და ფოტოგრაფებიც შეიმჩნეოდნენ.

რათ მთავარია, ეს იყო ნამდვილი, ღია ფეხბურთი, რომელშიაც კლასი ასატანი იყო, გრძნობები კი სრულიად დაუოკებელი, მე ვუყურე „ბეშიქთაშ" — „სლავიას", „აეკ" — „მალაგას" და „ბოავიშტა" — „ჰერტას". ხოლო „ლივერპულ" — „ოსერს" და „შტუტგარტ" — „სელტიკს" ვერ ვუყურე, რადგან ვერსად აღმოვაჩინე, თუმცა, ამათი ცქერაც ისეთივე დიდებული იქნებოდა, როგორც იმ სამი წყვილისა. რა ხდებოდა ტრიბუნებზე, რა ფეხზე დგომა იყო, რა საინტერესო კაცები ჩანდნენ მწვრთნელები და რა ღრიალი იყო. მირჩა ლუჩესკუო, ჰუუბ სტევენსიო, გაწევა-გამოწევაო. ათკაცა „ბოავიშტამ" გამარჯვების გოლი გაიტანა და გუნდი ძლივს დააბრუნეს მოედანზე, „ჰერტას" საპასუხო არ ჩაუთვალეს და იყო ერთი გაწევ-გამოწევა. ნამდვილი ფეხბურთი იყო, თავზე ხელის აღება და ყველაფერი. მოკლედ, იქაურობის ხუთი წუთი ჯობდა ვთქვათ, „ინტერ" — „ბარსელონას" და ეს ამბავი იმას ჰგავდა, ელიტარულ კლუბში რომ ყველაფერი პრიალებს, ხოლო დუქანში რომ გული დევს სუფრაზე.

ეს დუქანი არ გირჩევნია?

ეს დუქანი მოგენატრება, აბა, როგორ შეიძლება ოტელ „ხიტის" რესტორანი მოგენატროს.

უეფას თასმა ბევრი რამ დაკარგა უეფასვე გადაწყვეტილებით. მან პირველ რიგში კლასი დაკარგა, თუმცაღა შეინარჩუნა ჯიგარი და ფეხბურთისადმი სადი მიდგომა. ეს კი კარგია, რადგან ამტკიცებს, რომ ფეხბურთი მხოლოდ მილიარდებით არ ითამაშება, უბრალო ბიჭებსაც შეუძლიათ ითამაშონ ნამდვილი ფეხბურთი.

მეტი რაღა გინდა?



ხავიერ გარსია პორტალიო

# პორტი-გოლი

**ვინ არის** მადრიდის „რეალის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი? პასუხი შესაძლოა არც იცოდეთ, მაგრამ ეჭვი გექნებათ, რომ იგი ან რაულია, ან დი სტეფანო. ეგებ ფერენც პუშკაში, ან სულაც უგო სანჩესი. არა, ბატონებო საუკეთესო ბომბარდირი... ხავიერ გარსია პორტილიოა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია — ხავიერ პორტილიოს დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" სამშაბათს გატანილი ბოლო წუთის გოლი მის მადრიდულ კარიერაში 743-ეა.

თუ ეჭვი მაინც გრღნით, მოგახსენებთ, რომ „პორტი-გოლის" გოლების ათვლა იქიდან იწყება, როცა ის, 12 წლისა, „რეალის" ბავშვთა გუნდში ჩაირიცხა, თორემ დიდ „რეალში" ამდენს რომ ვერ გაიტანდა, ცხადია.

პორტილიომ ფეხი პაწაწინა „არახუნტში" აიდგა, რომელიც ბავშვთა ასეთივე პაწაწინა ტურნირებში თამაშობდა. ერთ ასეთ შეჯიბრებაში მისმა თამაშმა „რეალის" სელექციონერის ყურადღება მიიპყრო და ბიჭუნა მადრიდში წაიყვანა. ეს ამბავი რვა წლის წინ მოხდა, ხოლო ის სელექციონერი ვისენტე დელ ბოსკე გახლდათ.

ქვემოთ კი პორტილიოს გოლები დავითვალოთ:

| | | |
|---|---|---|
| 1994-95 | ბავშვთა B გუნდი | ჩემპიონატში 42, ამხანაგურში 33 |
| 1995-96 | ბავშვთა A გუნდი | ჩემპიონატში 79, ამხანაგურში 68 |
| 1996-97 | კადეტთა B გუნდი | ჩემპიონატში 45, ამხანაგურში 48 |
| 1997-98 | კადეტთა A გუნდი | ჩემპიონატში 46, ამხანაგურში 45 |
| 1998-99 | ჭაბუკათა C გუნდი | ჩემპიონატში 54, ამხანაგურში 57 |
| 1999-00 | ჭაბუკთა B გუნდი | ჩემპიონატში 42, ამხანაგურში 32 |
| 2000-01 | ჭაბუკთა A გუნდი | ჩემპიონატში 42, ამხანაგურში 40, ესპანეთის თასზე 3 |
| 2001-02 | რეალი C | ჩემპიონატში 29, ამხანაგურში 5 |
| | რეალი B | ჩემპიონატში 16 |
| | რეალი | ჩემპიონთა ლიგაში 1 |
| 2002-03 | რეალი | ჩემპიონთა ლიგაში 1, ჩემპიონატში 2, ესპანეთის თასზე 8, სენტენარიოს მატჩში 1, ამხანაგურებში 4 |

*1994 წლის 3 სექტემბრიდან დღემდე ხავიერ გარსია პორტილიომ სულ 743 გოლი გაიტანა. გაგრძელება იქნება...*

**გიორგი დარჯანია**

# ფრიც ვალტერი მკვდარია, ფრიც ვალტერი ზორგავს ფასკუნჯს შია

## ლაუტერნმა ბარძაყიდან გასაყიდი ხორცი მოიჭრა

**ბუნდესნაკრების** ლეგენდარული კაპიტანი ფრიც ვალტერი ცოცხალი აღარ არის და ალბათ საფლავში გადაბრუნდება — „ფრიც ვალტერს" ჰყიდიან — ყველაფერი ფურცლებზე რამდენიმე დღეში გაფორმდება.

„კაიზერსლაუტერნის" ფინანსურ კრიზისზე არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ შეგახსენებთ, რომ კლუბის დავალიანება დაახლოებით 30 მილიონ ევროს შეადგენს და აქედან 12,9 მილიონი ბეგარის სახითაა გადასახდელი. თუ „ლაუტერნი" ამ ჭაობიდან თავს ვერ დააღწევს, კლუბი პროფესიულ ფეხბურთში მოღვაწეობისთვის საჭირო ლიცენზიას ვერ მიიღებს.

„კაიზერსლაუტერნის" თავმჯდომარე რენე იაგიმ გუშინ საქვეყნოდ განაცხადა, სტადიონს მყიდველი უკვე გამოუჩნდაო.

აქ საინტერესო ისიცაა, რომ „ფრიც ვალტერს" საგანგებოდ ამ გარიგებისთვის შექმნილი კომპანია ყიდულობს, რომლის მეწილეები ქალაქის მერია, მხარის ადმინისტრაცია და იქაური ბანკი არიან — მათი წილების თანაფარდობა და სტადიონის გასაყიდი ფასი კი უცნობია.

ერთი სიტყვით, მალე „კაიზერსლაუტერნი" ოდესღაც მშობლიურ სტადიონზე თამაშისთვის იჯარის თანხას გადაიხდის.

„ფრიც ვალტერ შტადიონს" მეორენაირად „ბეცენბერგის" სტადიონიც ჰქვია, რომლის რეკონსტრუქციისთვის კლუბმა შარშანწინ გვარიანი თანხაც დახარჯა — 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ გერმანიაში გაიმართება და თავის მოწონება კაიზერსლაუტერნსაც სურდა.

**დავით თავართქილაძე**




# ინყება შედევრის გადაკეთება

**„იუვენტუსის"** აღმასრულებელმა დირექტორმა ანტონიო ჯირუადომ განაცხადა, რომ კლუბი მარტში ტურინის მუნიციპალიტეტთან გააფორმებს კონტრაქტს, რის შემდეგაც „დელე ალპიზე" სარემონტო სამუშაოებს დაიწყებენ.

ჯირუადოს განცხადებით, განახლებულ „დელე ალპიზე" აღარ იქნება საფეხბურთო მოედანს შემორტყმული მძლეოსანთა სარბენი ბილიკი, რისი წყალობითაც ტრიბუნები წინ გადაიწევს.

„გარედან ყველაფერი ძველებურად დარჩება, რადგან ეს არქიტექტურული შედევრია. იერი „დელე ალპის" საუკეთესო მხარეა, შიგ კი ადგილების რაოდენობა 35 ათასამდე უნდა შევამციროთ" — თქვა ჯირუადომ.

მოგეხსენებათ, ტურინის გარეუბანში აგებული „დელე ალპი" 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაიხსნა და მას მერე ვერაფრით მოიგო „იუვესა" და „ტორინოს" ქომაგთა გულები. მისი დღევანდელი ტევადობა 77 ათასია, თუმცა უდიდეს მატჩებზეც კი 55 ათასზე მეტი ადამიანი არ მიდის. მაგალითად, ასე იქნება ხვალ, „იუვენტუსისა" და „ინტერის" შეხვედრაშიც. ქომაგთა მთავარი პრეტენზია მოედანსა და ტრიბუნებს შორის დატოვებული უზარმაზარი მანძილია.

„ამიერიდან, მაყურებელი თავს მოედანზე იგრძნობს. ფეხბურთელებსა და მათ შორის მანძილი სულ 10 მეტრი იქნება, ეს კი „სან სიროზე" მცირე მანძილია" — ამბობს ჯირუადო, რომლის თქმით, რემონტი 2006 წლისთვის დასრულდება და 110 მილიონ ევროს შეიწირავს.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსი" ახალ საწვრთნელ ცენტრსაც აგებს და მასზე 130 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს. სამუშაოები 2003 წლის ბოლოს დაიწყება.

**პაპუნა ძიძია**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**გერმანია**

**ბუნდესლიგა. XXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ბაიერნი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 009 | არმინია-შტუტგარტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 014 | ალენი-ბურგჰაუზენი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 18.00 | 015 | ტრიერი-ოსნაბრიუკი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 016 | ალემანია-დუისბურგი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.00 | 017 | ლიუბეკი-კიოლნი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 23.15 | 018 | უნიონი-ფრაიბურგი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 020 | კიოლნი(მ)-ვატენშაიდი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 17.00 | 021 | ქემნიცი-ვერლი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 022 | იურდინგენი-აუე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 023 | პადერბორნი-დორტმუნდი(მ) | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.00 | 024 | მიუნსტერი-ესენი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 17.00 | 025 | ბაბელსბერგი-კილი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 026 | დინამო-ჰამბურგი(მ) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.00 | 027 | ვერდერი(მ)-დრეზდენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 029 | ზაარბრიუკენი-ნოიკირხენი | 1,1 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 17.30 | 030 | აინტრახტი(მ)-ულმი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 17.30 | 031 | აუგსბურგი-ერფურტი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 17.30 | 033 | კიკერსი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 17.30 | 034 | უნტერჰახინგი-რეგენსბურგი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 036 | ნიუკასლი-ჩელსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 037 | ბლეკბერნი-სიტი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 038 | ფულჰემი-სანდერლენდი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 039 | მიდლსბრო-ევერტონი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 040 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 041 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 042 | არსენალი-ჩარლტონი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 043 | არსენალი-ჩარლტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **3 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 044 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXXIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 049 | ბრედფორდი-უოლსოლი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 19.00 | 050 | ჯილინგემი-ბრაიტონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 051 | გრიმსბი-ქოვენტრი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 16.00 | 2337 | არსენალი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2338 | კიევო-ტორინო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2339 | მილანი-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2340 | პერუჯა-ლაციო | 1.65 | 1.95 |
| 18.00 | 2341 | პიაჩენცა-კომო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2342 | რეჯინა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2343 | რომა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2344 | იუვენტუსი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 20.00 | 2345 | სელტა-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2346 | ოსასუნა-ბარსელონა | 1.7 | 1,9 |
| 20.00 | 2347 | ვილიარეალი-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2348 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2349 | რასინგი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2350 | ატლეტიკო-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2351 | ბეტისი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| | | **3 მარტი** | | |
| 24.00 | 2352 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,65 | 1,95 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ევროლიგა

### მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. 26-27 თებერვალი

# ბოისამ პროგნოზი აასრულა: ოლიმპიამ ოლიმპიაკოსთან წააგო

## ფაჩულია + მარკოიშვილი: 2+2



ოლიმპიაკოსელი მილან ტომიჩის შეუპოვრობამ „ოლიმპია“ ლიუბლიანაში პირველად დაამარცხა

**ევროლიგას** უსუსური გუნდები ჩამოსცილდნენ და ახალშედგენილ ოთხ ჯგუფში ოთხშაბათიდან მართლა ძლიერთა ჯახები გაჩაღდა.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე მოგებას იმხელა ფასი არ ჰქონია, რამხელაც ახლა. მაშინ ჯგუფებში თავმოყრილი 8 გუნდიდან 5 გადიოდა მომდევნო ეტაპზე, ახლა კი თითოეული წაფორხილება შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს, რადგან ოთხგუნდა ჯგუფებიდან მხოლოდ საუკეთესონი ითამაშებენ ოთხთა ფინალში, რომელსაც 8-10 მაისს ბარსელონა უმასპინძლებს.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა“, ზაზა ფაჩულიას „ულქერმა“ და ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიამ“ წარმატებით განვლეს ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი და ახლაც ოთხთა ფინალში გასვლისთვის იბრძოლებენ. ეგაა, პირველი ტური „ქართული“ გუნდებისთვის მთლად ბარაქიანი ვერ გამოდგა. მხოლოდ „ბენეტონმა“ იმარჯვა, ჩვენებურთა მონაგარიც ერთობ მოკრძალებულია.

„ოლიმპიურ დერბიში“ ბოისას „ოლიმპიამ“ შინ დიდი ბრძოლა გაუმართა ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ და ბოლო წამებზე დამარცხდა, იტალიურ სიენას ნაწვევი ფაჩულიას „ულქერი“ კი თითქმის მთელი თამაში უგებდა მასპინძლებს, მასაც აგრეთვე მარცხი შეხვდა.

ამასწინანდელ ინტერვიუში ბოისამ გვითხრა, ლიუბლიანაში არნახული საკალათბურთო ბუმია და დარბაზში ისეთი ჟოჟოხეთია, არა მგონია, იქიდან ვინმე მოგებული გავუშვათო. „ოლიმპიამ“ ყოჩაღად ჩაამთავრა პირველი ჯგუფური ეტაპი, „პალა ტივოლიდან“ მართლაც არავინ გაუშვია თავაწეული, მაგრამ აგერ, მეორე ეტაპის პირველისავე სტუმართან წაიბორძიკა და სლოვენიელებს წაგების გემოც გაასინჯა.

არადა, ოლიმპიელებს ეს მატჩი სულაც არ ჰქონდათ წასაგები. თავიდან მეტოქეს 10 ქულით კი ჩამორჩნენ, მაგრამ მალევე გამოერკვნენ და პირველი ტაიმიც ფრედ დასრულდა. ბოისამ თამაში ტრადიციულად ხუთეულში დაიწყო, მაგრამ ბევრი არ უთამაშია. ტომო მაჰორიჩმა ჩვენებური მხოლოდ ათი წუთით დაასაქმა და ვოვას საბოლოოდ 4 ქულა დაუგროვდა.

„ოლიმპია“ ერთიანი სულისკვეთების გუნდია, გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. პირეოსელების სათამაშო სტილი კი ერთთავად ლიდერზეა დაფუძნებული და ამ მატჩშიც პიროვნებებმა გამოჭედეს გამარჯვება.

მასპინძლებმა მოიწადინეს და ოლიმპიაკოსელთა ერთ-ერთი ყოჩი, დემარკო ჯონსონი 5 პერსონალურით მოედნიდან გაისტუმრეს. აქ კი სხვა პირეოსელმა გამოიღო ხელი, მილან ტომიჩმა ლიუბლიანელებს ჯამში 27 ქულა ჩაუგდო, ბოლო ორი კი მატჩის დასრულებამდე 8 წამით ადრე საჯარიმო ხაზიდან მიითვალა და „ოლიმპიაკოსი“ 2 ქულით დააწინაურა. მასპინძელთა რობერტას შტელმახერსმა დარჩენილ დროში სროლა კი მოასწრო, მაგრამ გაუცუდდა.

თითმორჩენილი ზაზა ფაჩულია პირველად გამოჩნდა „უქერის“ ოქმში. მან სიენურ სარბიელზე ორი წუთი იბურთავა. ამ დროში აბა, რა უნდა მოესწრო ქართველს, მხოლოდ ერთი მოხსნა შეაწია თავის „ულქერს“, რომელიც ერთხანს კი სჯაბნიდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე ბოლო წამს მოხვედრილ „სიენას“, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა.

ამ მატჩში შედგა ევროლიგის ორი გამორჩეული კალათბურთელის, ულქერელი ჯოზეფ ბლერისა და სიენელი მირსად თურქჯანის დაპირისპირება. სხვათა შორის, „სარბიელთან“ ამასწინანდელ ინტერვიუში პირველი ეტაპის უძვირფასესმა ბლერმა სწორედ თურქჯანი გამოარჩია ამ ტიტულისთვის ბრძოლაში მთავარმეტოქედ. მიუხედავად იმისა, რომ თურქჯანი გამოკვეთილი ცენტრი არ არის, გაითურქებული სერბი ფარქვეშ არავის აჭაჭანებს და ლიგის ერთ-ერთ ყოჩაღ მომხსნელადაც ითვლება. ხელაღებით თქმა, რომ თურქჯანმა ბლერი დაჯაბნა, არასწორი იქნება, თუმც მასზე მეტი კი მოინაგრა და „სიენამაც“ გაიმარჯვა.

მარკოიშვილის „ბენეტონმა“ კი ბასკეთის სიამაყე „ტაუს“ გადაუარა. ეს გუნდები ყველაზე მრისხანე თავდასხმით გამოირჩევიან ევროლიგაში, მაგრამ მატჩის პრინციპულობამ მათ დაცვითი ტაქტიკა აარჩევინა. თავიდან მეტოქენი ფრთხილად ზვერავდნენ ერთმანეთს და სუსტი წერტილის ადრევე მპოვნელმა „ბენეტონმა“ ხელაღებით შეუტია. ნბა-დან გამონათხოვრებული ტაუელი ლუის სკოლა სასახელოდ კი იბრძოდა, მაგრამ გვერდში მდგომნი ვერ გამოადგნენ და გარჯაც არ დაუფასდა.

მარკოიშვილი 2 წუთი ათამაშეს და, ფაჩულიასი არ იყოს, მანაც ერთი მოხსნა გაახერხა, ოღონდ მეტოქის ფარზე.

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

**ეფესი 68:62 ციბონა**

**ეფესი:** კამბალა (25 ქულა, 10 მოხსნა), ბრაუნი (24)
**ციბონა:** პლანინიჩი (14), რიმაცი (13)

**უნიკახა 76:95 ცსკა**

**უნიკახა:** რიზაშე (19), როდრიგესი (13)
**ცსკა:** ჰოლდენი (22), ალექსანდერი (22)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 1 | 1 | 0 | +19 | 2 |
| ეფესი | 1 | 1 | 0 | +6 | 2 |
| ციბონა | 1 | 0 | 1 | -6 | 1 |
| უნიკახა | 1 | 0 | 1 | -19 | 1 |

### E ჯგუფი

**პანათინაიკოსი 81:67 სკიპერი**

**პანათინაიკოსი:** ლაკოვიჩი (22), ბაფორდი (19), ფოცისი (18)
**სკიპერი:** დელფინო (18), შჩეპანოვიჩი (13), ბაზილე (13)

**სიენა 84:79 ულქერი**

**სიენა:** თურქჯანი (23 ქულა, 12 მოხსნა), ფორდი (18)
**ულქერი:** ერდენაი (22), ფაჩულია (2 წუთი, 1 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 | 1 | 0 | +14 | 2 |
| სიენა | 1 | 1 | 0 | +5 | 2 |
| ულქერი | 1 | 0 | 1 | -15 | 1 |
| სკიპერი | 1 | 0 | 1 | -14 | 1 |

### F ჯგუფი

**კინდერი 73:83 მაკაბი**

**კინდერი:** კოტუროვიჩი (18), სმოდიში (10), მარდოკი (10)
**მაკაბი:** ბორშტეინი (23), ბ. უდრიჰი (18)

**ბენეტონი 81:78 ტაუ**

**ბენეტონი:** მარკონატო (18 ქულა, 11 მოხსნა), იდნი (15)
**ტაუ:** სკოლა (22 ქულა, 9 მოხსნა), ნოჩიონი (12 ქულა, 10 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 1 | 1 | 0 | +13 | 2 |
| მაკაბი | 1 | 1 | 0 | +10 | 2 |
| კინდერი | 1 | 0 | 1 | -10 | 1 |
| ტაუ | 1 | 0 | 1 | -13 | 1 |

### G ჯგუფი

**ბარსელონა 85:77 ვილერბანი**

**ბარსელონა:** ბოდიროგა (23), ფუჩა (18 ქულა, 11 მოხსნა)
**ვილერბანი:** ფრიგუ (16), ეტიმოვი (14)

**ოლიმპია 72:74 ოლიმპიაკოსი**

**ოლიმპია:** იურაკი (16), ბოისა (10 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა)
**ოლიმპიაკოსი:** ტომიჩი (27), მარკოვიჩი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | +8 | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 1 | 0 | +2 | 2 |
| ოლიმპია | 1 | 0 | 1 | -2 | 1 |
| ვილერბანი | 1 | 0 | 1 | -8 | 1 |

### NBA რეგულარული ჩემპიონატი



ამჟელა იაო მინგი მაიკლ ჯორდანამდე ამაღლებაზე ოცნებობს

# მაიკლ ჯორდანი: დროული, მუდამ დროული და ზედროული

## ღმერთი სპორტულ ფორმაში კვირაში სამჯერ

— 27 თებერვალი —

**ვაშინგტონი 100:98 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 88:88

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (35 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), სტეკჰაუზი (28)
**ჰიუსტონი:** მობლი (24), ტეილორი (23), მინგი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**დალასი 124:126 საკრამენტო**

ძირითადი დრო 118:118

**დალასი:** ნოვიცკი (34 ქულა, 13 მოხსნა), ფინლი (31), ვან ექსელი (15)
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (36 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (17), ჯექსონი (17)

**ლეიკერსი 95:85 დეტროიტი**

**ლეიკერსი:** ონილი (35), ბრაიანტი (30)
**დეტროიტი:** უილიამსონი (19)

„ბედნიერი ვარ, რომ ჯორდანი ამ სეზონის მერე მიდის და მასთან შეხვედრა აღარ მომიწევს“— ამბობდა „ვაშინგტონთან“ მარცხის შემდეგ „ჰიუსტონის“ წონწოლა ცენტრი იაო მინგი. ეს დიდი კალათბურთელი წასვლამდე არაერთ ყმაწვილს ჩაუტარებს გაკვეთილს. იმ დღეს კი ჯორდანმა მინგი, სტივ ფრენსისი და სხვა ჰიუსტონელები დათრგუნა.

რაც 40 წლისა მოიყარა, მაიკლ ჯორდანი ბარე ათი წლით ახალგაზრდად ჩანს. დაბადების დღის შემდეგ ოთხ თამაშში მისმა უდიდებულესობამ საშუალოდ 31 ქულა მოიხვეჭა. აგერ, მეხუთეშიც 35 ქულა ჩააგდო და ზედ ხურდად 11 მოხსნა და ექვსი პასიც მოაყოლა.

არადა, მაიკლს ქრონიკულად ტრავმიანი მარცხენა მუხლი სტკიოდა. „ვაშინგტონის“ ექიმი ირწმუნებოდა, რომ ჯორდანი თამაშს ვერ შეძლებსო, მაგრამ შეძლო და მერე როგორ. პირველიდან 53-ე წუთამდე, დაძაბულ ბრძოლაში გალეულ თამაშში ჯორდანი გამუდმებით შუა კვეთებაში იყო. მანვე პირადად გამოჭედა ის გამარჯვება „ვაშინგტონისთვის“.

„ჰიუსტონს“ არ სურდა ამ მატჩის დათმობა. იაო მინგის გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ თამაში ოვერტაიმშაი გადაიყვანა და იქაც დიდი ბრძოლა გაუმართა „ვაშინგტონის“, მაგრამ ის დღე და ის თამაში ჯორდანისა იყო და არა ვიღაც მინგების თუ კუტინო მობლების. მაიკლმა დამატებით ხუთწუთეულში ზედიზედ ხუთი სროლა ჩააგდო და ოვერტაიმი 12:10 მოაგებინა თავისიანებს.

ჯორდანის დარად, 35 ქულა მოაგროვა და თავის გუნდს გაამარჯვებინა შაკილ ონილმაც, თუმც მან მეტი შემწეობა მიიღო თანაგუნდელებისგან, ყველაზე მეტად კი კობი ბრაიანტისგან. „ლეიკერსის“ 24 წლის მზეჭაბუკმა კობიმ რამდენიმე დღის წინ შეწყვიტა 40-ქულიანი მატჩების სერია, თუმც ძალიანაც არ დაცურებულა, 30 ქულას არ ჩამოსცილებია. ახლაც ბრაიანტმა „დეტროიტს“ 30 ქულა აჯახა და 30 და მეტქულიანი მიყოლებით თამაშების ოდენობა 15-მდე გაზარდა. ჩემპიონურად აბურთავებულმა „ლეიკერსმა“ კი ბოლო 15 თამაშიდან მე-13 მოიგო და ამ ორიოდ კვირის წინ ცხრილის ფსკერიდან შეუმჩნევლად დაძრული დასავლეთ კონფერენციის ლიდერებს წამოეპარა.

ლიდერები კი ხედავენ, რომ ბოლო სამი სეზონის ჩემპიონი ჯერაც ცოცხალია და შეუპოვრად მოცოცავს მათკენ, მაგრამ ჯერ ერთმანეთთან არკვევენ ურთიერთობას. გუშინწინ „დალასი“ „საკრამენტოს“ მასპინძლობდა. ერთობ დაძაბული თამაში გამოდგა, ჭიდილი ლაფერი ბოლო წამებში გადაწყდა. ეს თითქოს ის შემთხვევაა, როცა ერთს მეორეზე მეტად გუმართლა და მეტი არაფერი, მაგრამ ეს შემთხვევითობა უკვე კანონზომიერად ქცეულა — ბოლო წამზე თუ მანამდე „საკრამენტო“ ყოველთვის უგებს „დალასს“, არადა, ეს უკანასკნელი ამ რეგულარული ჩემპიონატის უცვლელი ლიდერია.

**ირაკლი ფირაშვილი**

# აი, ის ბოგანო უფლისწული იყო

## რას აკეთებს კორტზე მარსელო რიოსი, ვერავინ გაიგო

**THE DUBAI OPEN CHAMPIONSHIPS**

**ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მაქსიმილიან აბელი (გერმანია) 6:4, 7:5; **რაინერ შიუტლერი** (5, გერმანია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (8:6), 4:6, 7:6 (10:8); **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი) 6:4, 4:6, 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:4, 6:4

მარატ საფინის კვალად დუბაურ მილიონდოლარიან ტურნირს სკვითთა მეორე ბობოლა, ევგენი კაფელნიკოვიც გამოაკლდა. 29 წლის სოჭელი მისკბილა მაროკოელმა, ჰიშამ არაზიმ აოტა. როგორც სტატისტიკა გვამცნობს, არაზი და კაფელნიკოვი ერთმანეთს მეოთხედ შეეხალენ და არაზმა სკვითს უკვე მესამედ მოუგო. სათქმელია ისიც, რომ ეს სამივე გამარჯვება მან დოჰაურ-დუბაურ მაგარსაფრებზე მიითვალა.

შარშანდელი სეზონი არაზის მაგრად ჩაუვლავდა და ეგებ გახსოვდეთ, იმ წელს სამგზის ნატიტულარი თვისტომის, ელ აინაუისგან განსხვავებით, ჩვენი ყურადღების არეში ერთხელაც არ მოხვედრილა.

არაზი: „ჰო, შარშან ძირითადად შინ ვიჯექი, სამოგზაუროდ და საჩოგნაოდ არც ხალისი მქონდა და არც რამე. ერთი პირობა ვიფიქრე, საერთოდაც თავს დავანებებ-მეთქი. თუკი რამემ მიშველა, ეგ ისევ იუნესის ჩაუქმა და ნაყოფიერმა გარჯამ, რამაც კვლავ ჩოგნის ხელში აღება მომანდომა. ახლა საოცრად მოტივირებული ვარ და ტიტულები მწყურია, მინდა, იმ ჩემს ერთ ქეციან ჯილდოს კიდევ რაღაცებიც შევმატო."

საკუთრივ მატჩს რაც შეეხება, არაზიმ ძალზედ დინჯად და სტაბილურად ითამაშა, სკვითი კი ხშირად მიჰქარავდა და ნამატჩევს ისე აიჭრა, კორტიდან გასვლის წინ მსაჯისთვის ხელიც არ გაუწვდია...

არაზის საამსეზონო ამბიციებს მის პირველ დუბაურ მეოთხედფინალში როჯერ ფედერერი გამოსცდის. 21 წლის ალპელმა წინა კვირაში როტერდამულ ნახევარფინალს უწია, იმის წინაში კი მარსელის ჭერქვეშ იტიტულა და ახლა დასტურ სანიმუშო ფორმაშია. იმ დღეს მან უსახელო გერმანელ აბელს აჯობა.

სხვაფრივ — როგორც იქნა, ხელი გამოიღო ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელმა ფინალისტმა რაინერ შიუტლერმა, ვინაც ორსაათიანი და 39-წუთიანი დაძაბული განდაგანის შედეგად გასულ უქმეებზე როტერდამში ნაჩემპიონარ მაქს მირნის მოერია. „მხეცად" წოდებულ ბელარუსს გადამწყვეტ ტაიბრეიკზე მატჩბურთიც ჰქონდა, მაგრამ იღბალმა მაინც გერმანელს გაუღიმა.

**ABIERTO MEXICANO DE TENNIS TELEFONICA MOVISTAR**

**აკაპულკო. თიხა**

**საპრიზო 690 ათასი $**

### მეოთხედფინალი

**ფელიქს მანტია** (ესპანეთი) — კარლოს მოია (1, ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:4); **გუსტავო კუერტენი** (6, ბრაზილია) — ფერნანდო გონსალესი (4, ჩილე) 6:4 (გონსალესმა შეწყვიტა); **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — მარსელო რიოსი (7, ჩილე) 6:3, 7:5; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ივან მირანდა (პერუ) 7:5, 6:3

ფელიქს მანტიასა და კარლოს მოიას მე-12 შიდაესპანური შეხლა პირველის მეხუთე გამარჯვებით გასრულდა. შეგახსენებთ, რომ მოია შარშანდელი ჩემპიონი იყო და წლეულს ტიტულის შენარჩუნების გარდა ისიც ეიმედებოდა, რომ წინა უქმეებზე ბუენოს აირესში მოპოვებულ ჯილდოს აკაპულკოურსაც ზედ მიაყოლებდა.

მანტიამ კი ბუენოს აირესსა და იმის წინ ვინა დელ მარში მეოთხედფინალებამდე გააღწია და მექსიკურ სასჯქსჩოგნეთში თავის მეათე საკარიერო ტიტულს დაეძებს.

მის უმთავრეს მოცილედ გუსტავო კუერტენი მოიაზრება, ვინაც ნიჭიერ ჩილელ გონსალესს ალბათ იმ შემთხვევაშიც მოუგებდა, ამ უკანასკნელს მასთან პაექრობა მხარიდაყვის ტკივილის გამო რომც არ შეეწყვიტა.

გუგა ნახევარფინალში არგენტინელ მარიანო საბალეტას შეეყრა (ვინაც თავის მხრივ პერუელ მირანდას მოუგო), მანტიას კი მარსელო რიოსის მაოტარი არგენტინელი კალერი ერგო. 26 წლის კალერი აკაპულკოში პირველად თამაშობს, მასზე წლით უფროსმა რიოსმა კი იმ დღეს საერთოდ რა ითამაშა, ვერავინ გაიგო. თუმცა — ფეხი მაწუხებსო — მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე ნამატჩევს, აი, ეგრე იძახდა და, ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო.

**COPENHAGEN OPEN**

**ჰარდი. საპრიზო 355 ათასი $**

### მეორე წრე

**უეინართურსი** (2, ავსტრალია) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:7 (4:7), 6:4, 7:6 (8:6); **კაროლ კუჩერა** (3, სლოვაკეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:3; **რადეკ სტეპანეკი** (4, ჩეხეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:4, 1:6, 6:1; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4, 7:6 (8:6); **მიხელ კრატოხვილი** (შვეიცარია) — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:6 (8:6); **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:5), 1:0 (დიუპუიმ შეწყვიტა); **ტომას ბერენდი** (გერმანია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:7 (4:7), 6:3, 6:3

**STATE FARM WOMEN'S TENNIS CLASSIC**

**სკოტსდეილი. ჰარდი**

**საპრიზო 585 ათასი $**

### მეორე წრე

**აი სუგიამა** (იაპონია) — ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) 7:6 (7:5), 4:6, 6:3; **მეგან შონესი** (აშშ) — ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) 6:4, 6:2; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — ჩანდა რუბინი (5, აშშ) 4:6, 6:2, 6:1; **ნატალი დეში** (8, საფრანგეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4 (რაზანომ შეწყვიტა); **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:3, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — სილვია ფარინა ელია (იტალია) 1:6, 7:5, 6:3

სკოტსდეილში ჩასულ სახელიან ქალმეჩოგნეების ლაღი და ჯიგრიანი ბურთაობა ჯერ მხაპუნა წვიმებმა არ დაანება, მერე კი მათ მეტოქეებიც ყინჩად დაუხვდნენ და გუშინდელი დღის ბოლოს იქაურმა მილეთმა ერთბაშად რამდენიმე განთესილი მოისაკლისა.

გავარდნილ ბობოლებს მათმა ლაზიერმა, შარშანდელმა ჩემპიონმა სერენა უილიამსმა უთამადა. ოღონდ სხვათაგან განსხვავებით უმცროსი შავლდა მეტოქის ჩოგანს არ დაუჩაგრავს — მან ვარჯიშზე მანამდეც მტკივანი მარცხენა მუხლი გაიმიზეზა და თვისტომ სტივენსონთან მატჩამდე ერთი საათით ადრე ტურნირის მიტოვების თაობაზე განაცხადა. სერიოზული არაფერია, უბრალოდ სხეულმა მითხრა, დაისვენეო, თქვა მან.

ახლა სერენა ფლორიდაში დაბრუნდება და მუხლსაც სწორედ იქ მოიმუშებს. დიდ კორტზე მას ალბათ კი ბისკეინში, 19-დან 30 მარტამდე გასამართ დიდბობოლა ტურნირზე ვიხილავთ.

რაც შეეხებათ სხვა განთესილებს — სკოტსდეილურ პუბლიკას მათი ისტატობითა და თუ საკუთრივ მღელვარული ავლადიდებით ტკბობის საშუალება დროზე ადრე მოუსწრაფეს უილაჯოდ გარჯილმა შარშანწინდელმა ჩემპიონმა დევენპორტმა (3), დოკიჩმა (4) და რუბინმა (5).

ტურნირის შეუცილებელ ფავორიტად დაურჩა ფუმფულა ბელგიელი კიმ კლაისტერსი, ვინაც იქ რანგით სერენასმომდევნო ჩოგანს აქნევს.

**ლევან ძელაურაძე**



მარსელო რიოსი: ძნელია, როცა ძველი დიდების უმაქნისი ძეგლიდა ხარ




# დავიგუგუნოთ?

## ბრაზილია კუერტენზე ჯერ ვერ დაფეხმძიმდება

**შეძლებს** ბრაზილია, მსოფლიოს ახალი გუსტავო კუერტენი აჩუქოს?

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ამერიკის უდიდესი ერი 170 მილიონ ადამიანს მოითვლის და ათასობით ბრაზილიელი ბავშვი ხელში ჩოგნის აღებისთანავე „გუგაობაზე" იწყებს ოცნებას, ექსპერტებს სჯერათ — კუერტენისდარ „იმპორტს" ტროპიკეთიდან უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ.

„გუგამ ისტორიას თავისი კვალი დააჩნია — ამბობს ბრაზილიელთა დევისკაპიტანი რიკარდო ასიოლი — მისი მიბაძვა არ იქნება ადვილი, თუმცა ეს არც შეუძლებელი უნდა იყოს."

26 წლის კუერტენი ბრაზილიელთა ყველაზე ტიტულოვანი მეჩოგნეა და თვისტომთაგან სწორედ მან შეძლო, ეიტიპის კლასიფიკაციას სათავეში მოქცეოდა.

ის თვრამეტ ტიტულს მოიძევს და ამ თვრამეტიდან სამი საფრანგეთის ღია პირველობაზე აქვს ნაშოვნი.

სანამ ეს ფლორიანაპოლისელი ვარსკვლავი ამობრწყინდებოდა, ბრაზილიურ ჩოგბურთს მხოლოდ მარია ესთერ ბუენოს წარმატებებით შეეძლო კვეხნა. ბუენოს ტიტულზარდახშა — სხვა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ჯილდოებს შორის — უიმბლდონურ ზურმუხტოვანზე ნახვეჭ სამ ტიტულსაც შეიცავს.

22 წლის ფლავიუ სარეტა, კუერტენის დევისდოსტი აღიარებს, რომ ვერც კი ბედავს, გუგასთან გატოლებაზე იოცნებოს.

„გუგა გენიოსია — ამბობს სარეტა — მას არასოდე დაუტოვებია ქვეყანა, რათა სხვაგან, უკეთეს პირობებშიევარჯიშა. მას მთელი ცხოვრება ერთი კაცი წვრთნის და გუგას აზრადაც არ მოსვლია, მასთან კონტრაქტი გაეწყვიტა... სიგიჟე იქნებოდა, იმის მიღწევაზე მეფიქრა, რისთვისაც მას მიუღწევია."

გუგას მეორე თაყვანისმცემელი სან პაულუელი ლეონარდო კირხეა, ვინაც ახლახან კოლუმბიაში, ეკვადორსა და პერუში 18-წლამდელთა ტურნირებზე იმარჯვა და ასიოლის მიხედვით, ფრანკუ ფერეირუსთან, ბრუნო როზასთან, ალეშანდრე ბონატუსა და დიეგუ კუბასთან ერთად ბრაზილიის მთავარიმედად განიხილება.

„გუგა ჩვენი სეფემაგალითია — კორტზეც და მისგარეც — ამბობს კირხე — ჩემი აზრით, ის მსოფლიოს საუკეთესო სამეულში უნდა იყოს ანდრე აგასისა და ლეიტონ ჰიუიტის გვერდით."

ასიოლი თვლის, რომ კუერტენის წარმატება სხვადასხვა უნართა სახარბიელო კომბინაციამ განაპირობა: „ის ნიჭიერია, მიზანდასახულია, ნებისმიერ გამოწვევას ხალისით იღებს და ბოლომდე იბრძვის."

კუერტენის მწვრთნელი ლარი პასოსი, ვინც მასთან ერთად 1989 წლიდან მუშაობს, ეთანხმება იმათ, ვინც ფიქრობს, რომ მათი ჯუფთი ღვაწლის გამეორება ძალიან ძნელი იქნება.

„გვინდა, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სხვათათვის მისაბაძად და სამაგალითოდ იქცეს — ამბობს იგი — კარგი იქნება, თუკი ახალგაზრდა მოთამაშეები მხოლოდ თავიანთი ნიჭის იმედად არ იქნებიან. ყველაზე ძნელი ისაა, საკუთარ თავს აღემატო და იმაზე მეტის გაკეთება სცადო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ხელგეწიფება. გუგა სიჭაბუკიდანვე ასეთი იყო — ის ნიადაგ სრულყოფილებას ელტვოდა და არასოდეს გაჩერებულა."

ხასიათის უმტკიცობასთან ერთად ნიჭიერ ბრაზილიელ ჭაბუკებს — ასიოლის თანახმად — მარადი პრობლემაც, სათანადო ინფრასტრუქტურის არქონაც ემუქრება.

მართალია, კუერტენის მიღწევებმა ბრაზილიაში ჩოგბურთის აღმავლობა გამოიწვია, კორტები იქ ჯერაც ძალიან ცოტაა და ვარჯიშის მსურველს შესაშური მოთმინება სჭირდება, თავის რიგს რომ ელირსოს.

„ჩვენი ბავშვებისა და მოზარდების ნიჭი და მომზადება არაადექვატურია — ამბობს ასიოლი — ჩვენ გვაკლია ინფრასტრუქტურა, გვაკლია ინვესტიციები".

ბრაზილიის საჩოგბურთო ფედერაციის პრეზიდენტი ნელსონ ნასტაში თვლის, რომ ბრაზილიამ მეზობელ არგენტინას უნდა მიბაძოს და საჯარო კორტები მოიმრავლოს.

„ასეთი კორტები ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია. არგენტინას კი ახლა ბრაზილიაზე შეუდარებლად მეტი კარგი მეჩოგნე ჰყავს და სწორედ იმიტომ, რომ იქ ძალიან ბევრი საჯარო კორტია. მთავრობამ და სპონსორებმა ფული ამ მიმართულებით უნდა მიაინვესტონ."

**ტატიანა რამიუ**
**REUTERS**

# საქართველოს მთავრობამ ოლიმპიური ჩირაღდანი შემოიპატიჟა

**ათენის** ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი, ალბათ, საქართველოზეც გაივლის. ამის თაობაზე ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში გაცნობეთ. ველოდით კიდეც საბერძნეთში ოლიმპიური ჩირაღდნის საესტაფეტო პროგრამის ოფიციალურ პრეზენტაციას, რომელიც თებერვლის მიწურულს უნდა გამართულიყო, მაგრამ...

თუმცა, უმჯობესია მივყვეთ თანმიმდევრულად.

ტრადიციისამებრ, ოლიმპიური ჩირაღდანი ანტიკურ ოლიმპიაში, ჰერას ტაძრის ნანგრევებში საზეიმოდ ინთება და ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქისკენ დიდი ესტაფეტაც იწყება. საესტაფეტო მანძილს, ცხადია, ოლიმპიადან თამაშების მასპინძელ ქალაქამდე დაშორება განსაზღვრავს. ერთი შეხედვით, ეს მანძილი ათენის 2004 წლის თამაშებზე ყველაზე მოკლე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისმა საორგანიზაციო კომიტეტმა სხვაგვარად განსაჯა. იფიქრეს, ჩვენი დედაქალაქისა და საერთოდ ოლიმპიური თამაშების პროპაგანდისთვის უკეთესი იქნება, თუ ჩირაღდანს ხუთივე კონტინენტზე შემოვატარებთ, მერე კვლავ საბერძნეთში დავაბრუნებთ და ბოლოს ათენში ავაგიზგიზებთო. ეს ამბავი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში რომ შეიტყვეს, ახლა აქაც იფიქრეს, საქართველოსა და ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდისთვის ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათო.

ოლიმპიიდან ყურისძირში მდებარე ათენისკენ შორი გზით მიმავალი ოლიმპიური ჩირაღდნის საქართველოში „შემოპატიჟების" იდეა სეოკ-ის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს შარშან ზაფხულში დაებადა, როცა „ათენი 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან მისი შეხვედრა გაიმართა.

— მერე ეს იდეა საქართველოს ხელისუფლებამაც მოიწონა — გვიამბობს ემზარ ზენაიშვილი — საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ „ათენი 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს, ქალბატონ იანა ანგელოპულოს-დასკალაკს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, სადაც დადასტურებული იყო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერა და საზოგადოების დიდი ინტერესი ამ პროექტის მიმართ, რომლის განსახორციელებლად აქტიურად ამუშავდა საქართველოს საელჩო საბერძნეთში და პირადად ელჩი, ბატონი ზვიად ჭუმბურიძე.

ასე იყო თუ ისე, ქალბატონ იანა ანგელოპულოს-დასკალაკის მიერ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის სახელზე გამოგზავნილი წერილით ირკვევა, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის საესტაფეტო პროგრამის პრეზენტაცია გადაუვადებიათ. ეს განაპირობა „ზოგიერთი საკითხის დასრულების აუცილებლობამ, რაც ამ ღონისძიებას უნიკალურ ხასიათსა და დედამიწის ირგვლივ ტურნეს ახლებურ მიმზიდველობას შესძენს".



იანა ანგელოპულოსი (მარჯვნივ) და ოლიმპიური ჩირაღდანი

„ათენი2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იმასაც წერს, რომ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ოლიმპიური ჩირაღდანი ხუთივე კონტინენტზე და 60-ზე მეტ ქვეყანაში იმოგზაურებს.

თუ ოლიმპიურ თამაშებზე ქვეყნების მედლების ნადავლით ვიმსჯელებთ, გიყვარდეთ, იმ 60 სახელმწიფოს შორის საქართველო უთუოდ უნდა მოხვდეს, მაგრამ ანგელოპულოსი იმასაც შეგვახსენებს, რომ „ასეთი ამბიციური იდეის განსახორციელებლად საჭიროა ზუსტი ვადების განსაზღვრა, საერთო ხარჯების გაზრდა, უშიშროების სერიოზული ზომების უზრუნველყოფა და სხვა რთული ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა."

აქ ეს სიტყვა, „უშიშროება" ჩვენც გვაფიქრებს, მაგრამ ანგელოპულოსი იმედს არ გვიწურავს, რადგან იქვე წერს:

„სპორტის სფეროში საქართველოს მიღწევებისა და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, თქვენი ქვეყნის დიდსულოვანი წინადადება ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია და მას სათანადო ყურადღებით განვიხილავთ.

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის საბოლოო გრაფიკი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ზემოხსენებული კრიტერიუმებისა და ობიექტური შეზღუდვების გათვალისწინებით შეთანხმდება".

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, იმედით ალვივსოთ, ეს ჩაბნელებულ-გაყინული საქართველო იქნებ ოლიმპიურმა ჩირაღდანმა მაინც გაათბოს და გაანათოს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



რეგულარული ჩემპიონატი

# კერტის ჯოზეფმა წაიჯაშმება

— 27 თებერვალი —

**დეტროიტი 7:2 ტორონტო** *3:1 2:1 2:0*

1:0 ზეტერბერგი (16), 2:0 მაკარტი (16), 2:1 რაიხელი (17), 3:1 ჰალი (20), 3:2 რობერტსი (23), 4:2 ზეტერბერგი (32), 5:2 ჰალი (40), 6:2 დრეიპერი (44), 7:2 ბიკოვი (56)

„დიდხანს ველოდი ამ მომენტს. ბევრი ვინერვიულე, მაგრამ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა" — დეტროიტის მეკარე კერტის ჯოზეფს ამიერიდან ნამდვილად გაუადვილდება ცხოვრება. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ზაფხულში სწორედ ტორონტოდან გადავიდა დეტროიტში და, უმრავლესობის აზრით, ჯერ ვერ შეძლო, თავისი გუნდისთვის ისეთი საყრდენი გამხდარიყო, როგორიც დომინიკ ჰაშეკი იყო წინა სეზონში. ამიტომაც ჯოზეფის პირველ შეხვედრას ყოფილ კლუბთან გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ყველას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა „კუჯო" ემოციების მოთოკვას. „წითელფრთიანთა" ქომაგების გასახარად, ტორონტოსთან ეს შეხვედრა ჯოზეფისთვის ბენეფისად იქცა. მეკარემ თავისი საქმე ჩინებულად შეასრულა, ხოლო მისმა პარტნიორებმა თავის მხრივ ყველაფერი გააკეთეს, რომ მისთვის ეს თამაში დაუვიწყარი ყოფილიყო — ჩემპიონმა ამ დღეს სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა. ტორონტოს განადგურება იოლი საქმე როდია, მას ალმავლობის ხანა უდგას, მაგრამ ბრეტ ჰალის, ჰენრიკ ზეტერბერგისა და კომპანიის წინაშე ვერაფერს გახდა. თავად ბებერმა ჰალმა დუბლს პასიც დაამატა და 1300-ე ქულა დააგროვა ლიგაში. მანამდე ეს მხოლოდ 22 ჰოკეისტს მოეხერხებინა.

**ოტავა 3:2 დალასი** *1:1 1:1 0:0 1:0*

0:1 მერინი (15), 1:1 ბონკი (19), 1:2 ლეჰტინენი (28), 2:2 ბონკი (33), 3:2 არვადსონი (62)

**კოლორადო 3:4 ატლანტა** *2:1 0:1 1:1 0:1*

1:0 შეიდუკი (6), 1:1 ჰიტლი (10), 2:1 მორისი (17), 2:2 კოზლოვი (25), 2:3 ოჯერსი (52), 3:3 საკიკი (58), 3:4 სავარე (62)

**ფილადელფია 5:2 ჩიკაგო** *0:1 2:0 3:1*

0:1 ბელი (3), 1:1 იუსონი (32), 2:1 რეკი (37), 3:1 უორინერი (45), 3:2 ბელი (50), 4:2 უორინერი (51), 5:2 ჰანდზუში (57)

**ტამპა 3:1 ფლორიდა** *1:0 1:1 1:0*

1:0 რიჩარდსი (15), 1:1 ბედნარჩი (29), 2:1 ლეკავალიე (36), 3:1 პროსპალი (60)

**კოლუმბუსი 3:1 ლოს ანჯელესი** *1:1 1:0 1:0*

0:1 ჰაინცი (2), 1:1 უიტნი (8), 2:1 უიტნი (21), 3:1 უიტნი (60)

**აილენდერსი 3:3 ნიუ ჯერსი** *2:1 0:2 1:0 0:0*

1:0 ისბისტერი (4), 2:0 სკაჩარდი (8), 2:1 გომესი (10), 2:2 ფრიზენი (26), 2:3 მედენი (31), 3:3 ბეიტსი (52)

**მონრეალი 3:6 მინესოტა** *0:1 1:1 2:4*

0:1 პარკი (13), 0:2 უოლცი (30), 1:2 რივე (37), 1:3 ჟოლტოკი (42), 2:3 ზედნიკი (46), 2:4 გაბორიკი (50), 3:4 რივე (52), 3:5 რონინგი (57), 3:6 რონინგი (60)

**სენტ ლუისი 4:1 ედმონტონი** *0:1 1:0 3:0*

0:1 სტეისი (4), 1:1 პაჰინო (36), 2:1 დრეიკი (50), 3:1 ბოგუნიცკი (59), 4:1 მარტინსი (60)

**ნეშვილი 6:0 პიტსბურგი** *2:0 1:0 3:0*

1:0 ორზაგი (1), 2:0 ლეგვანდი (7), 3:0 ჯონსონი (40), 4:0 ჰოლი (45), 5:0 ჯონსონი (51), 6:0 სიმი (52)

**რეინჯერსი 4:1 ბოსტონი** *1:0 2:1 1:0*

1:0 პეტროვიცი (19), 2:0 მესიე (36), 3:0 ბურე (37), 3:1 აქსელსონი (40), 4:1 კოვალიოვი (43)

**ვანკუვერი 2:3 სან ხოსე** *0:1 0:2 2:0*

0:1 დამფუსი (14), 0:2 ნოლანი (23), 0:3 მარლო (31), 1:3 მალიკი (44), 2:3 ჰსედინი (49)



## ჯორდანი

გუნდი დაარსდა 1980 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1991 წლიდან
197 რბოლა; 3 მოგება; 2 პოული; 2 უსწრაფესი წრე; 261 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — მესამე ადგილი (1999)
2002 წელს დაიკავა მეექვსე ადგილი (9 ქულა)
**გუნდის მფლობელი:** ედი ჯორდანი
**ტექნიკური დირექტორი:** ჰარი ანდერსონი
**მთავარი ინჟინერი:** დევიდ ბრაუნი
**ბოლიდი:** „ჯორდან EJ13"
**ძრავა:** „ფორდ კოსუორტი"
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი"



**ჯანკარლო ფიზიკელა**

**იტალია**
დაიბადა 1973 წლის 14 იანვარს რომში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლშვილიანი
სიმაღლე 172 სმ; წონა 64 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
107 რბოლა; 1 პოული;
1 უსწრაფესი წრე; 82 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი მეექვსე ადგილი (2000)
2002 წელს მე-11 ადგილი (7 ქულა)
ასპარეზობდა „მინარდიში" (1996), „ჯორდანში" (97), „ბენეტონში" (98-01)
2002 წლიდან კვლავ „ჯორდანშია"



**რალფ ფირმენი**

**დიდი ბრიტანეთი**
დაიბადა 1975 წლის 20 მაისს ნორფოლკში
უცოლო
სიმაღლე 185 სმ;
წონა 78 კგ
1996 წლის ბრიტანული „ფორმულა 3"-ის ჩემპიონი
1996 წელს აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლად
2002 წლის „ფორმულა-ნიპონის" ჩემპიონი
ფორმულა 1-ის დებიუტანტი

# ჯორდანის ფირმამ ფირმენი გაიფორმა

FORMULA 1

**54 წლის** ედი ჯორდანი ყველაზე ახალგაზრდა მეფორმულე ბოსი კი გახლავთ, მაგრამ „სამეფო რბოლებში" საქმიანობაში გაცილებით ასაკოვან კოლეგებს უსწრებს. ირლანდიელმა ფანატიკოსმა თავის უსაყვარლეს საქმეს ცხოვრების ნახევარზე მეტი შეალია. ჯეელობისას ფორმულა 3-ში არცთუ სახარბიელო კარიერის შემდეგ სპონსორების შემწეობით საკუთარი გუნდი — „ედი ჯორდან რეისინგი" დაარსა და მას აქეთ საფორმულო ელიტაში ტრიალებს.

იღბლიან მოტუტუცო ირლანდიელს, როგორც ჯორდანი საკუთარ თავს ხუმრობით უწოდებს, ექსტრავაგანტურმა და იუმორისტულმა ბუნებამ არაერთი იმედგაცრუება და მარცხი შეახვედრა. საჯინიბოსთვის თორმეტსეზონიანი მოღვაწეობის პიკი 1999 წელი გამოდგა, როცა ყველაფერი მისთვის იდეალურად აეწყო. შესანიშნავად იბრძოლეს ყოჩაღმა პილოტებმა დეიმონ ჰილმა და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა, გამოდგა „ჰონდას" სუპერძრავა და ყველაფერთან ერთად ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა და „ჯორდანის" კონკურენტმა „უილიამსმა" სეზონი სამარცხვინოდ ჩააფლავა. შედეგად, „ჯორდანიც" და ფრენცენიც მესამე ადგილებზე გავიდნენ.

წლეულს შეფი მსგავს წარმატებაზე არც კი ოცნებობს, რადგან „უილიამსი" ისევ უილიამსობს და ედი კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე პოზიციითაც სავსებით კმაყოფილი იქნება, რაც მისი საშუალძალოვანი გუნდისთვის რიგიანი შედეგი იქნება.

მეცამეტე სეზონში „ჯორდანს" აღარც იაპონელი მეძრავეები ჰყავს და არც ფრენცენი. წლევანდელ ბოლიდებს ვეტერანი ჯანკარლო ფიზიკელა და ახალბედა რალფ ფირმენი მოახტებიან. ამათში ლიდერი, ცხადია, 30 წლის „ფიზიკაა", რომელიც კოლეგა-პილოტებმა შარშან საუკეთესო მრბოლად(!) დაასახელეს. მეორე ვაკანტურ ადგილზე რამდენიმე კანდიდატი იყო — 1999 წლის ვიცე-ჩემპიონი ედი ირვინი, ფელიპე მასა, ენრიკე ბერნოლდი, ენტონი დევიდსონი... ჯორდანმა ყველას 27 წლის გამოუცდელი თანამემამულე რალფ ფირმენი ამჯობინა, რომლის სავიზიტო ბარათია დაბალი კლასის ფორმულის ჩემპიონობა. ალღოიან შეფს თავისი რჩეულის ძალიან ეიმედება: „რალფი იდეალური არჩევანია. ირვინი, რა თქმა უნდა, უკეთესი ოსტატია, მაგრამ სამ წელიწადში ის 40-ის მოიყრება, ამიტომ მხოლოდ ერთსეზონიან კონტრაქტს თუ გავუფორმებდით, გაისად კი სხვა პილოტის მოძებნა დაგვჭირდებოდა. ფირმანთან სამწლიანი ხელშეკრულება დავდეთ და დარწმუნებული ვარ, ის უახლოეს ხანში მაღალი დონის პროფესიონალი გახდება. სულაც არ გამიკვირდება, თუკი წლეულსვე საუკეთესო დებიუტანტად და სეზონის აღმოჩენად დაასახელონ."

**გია ახალაძე**




ედი ჯორდანმა პრეზენტაცია ბარსელონის ავტოდრომზე მოაწყო



REUTERS

# დიდი ჩხუბი დიდ კრივამდე

## მოკრივეების ჯაუის დამრიგებლებმა ერთმანეთზე მოკრივეებივით გაიწიეს

**ბოლოჟამს** ქვემძიმე წონის, ისე კი, რაგინდარა საშუალო წონების უდავო ჩემპიონი, კრივის სუპერვარსკვლავი, 34 წლის როი ჯონს-უმცროსი ამაღამ ლას ვეგასში მძიმე წონის ჩემპიონის ქამრისთვის იბრძოლებს, მისი მეტოქე ასოციაციის (ვბა) ჩემპიონი ჯონ რუისი იქნება.

გუშინ გაიმართა აწონვის ცერემონიალი, სადაც რუისი ჭრელაჭრულა სამოსით გამოცხადდა, ჯონსი კი მკაცრი იერით და გაუცინრად. გაირკვა, რომ ქამრის დამცველი 15 კილოგრამით მძიმეა ხელოვნურად ნასუქ გენიოსზე, რომელსაც მძიმეწონოსანთა გასილაქების ჟინი ჰკლავს. მსუბუქების მძიმეებთან შეტოტება ძველი ამბავია კრივში და ახლა მაგალითებს არ მოვყვებით, იმას კი მოგახსენებთ, რომ ბოლოჯერ მძიმე წონის ქვემძიმე ჩემპიონი მაიკლ სპინკსი ყოფილა, რომელმაც დიდი ლარი ჰოლმსი დაამარცხა 1985 წელს. ქვემძიმედან მძიმეში ასული და გაჩემპიონებული კი იყო ევანდერ ჰოლიფილდი, ახლა კი არის კრის ბერდი, ხოლო ერთადერთი კაცი, ვინც საშუალო წონაშიც იყო ჩემპიონი და მძიმეშიც, ბობ ფიცსიმონსი გახლდათ, 106 წლის წინათ.

ორთა აწონვაში საკვირველი ის გამოვიდა, რომ მოკრივეებს თავი მშვიდად ეჭირათ და რუისი ხითხითებდა კიდეც, მაგრამ დროული ხალხი კი დაერია ერთმანეთს. კერძოდ, მუშტებით წაიწიეს რუისის მენეჯერმა, ჭალაროსანმა ზანგმა ნორმან სტოუნმა და ჯონსის მწვრთნელმა ალტონ მერკერსონმა.

კამათი მოხდა აწონვის წინ, როცა ბანაკები ხელთათმანებზე უნდა შეთანხმებულიყვნენ. სტოუნს ტუჩი გაუსკდა, მოწინააღმდეგენი კი სცენაზე გაგორდნენ და ზედახორაც გაიმართა. ამის შემდეგ სტოუნის ტუჩს ამბულატორიული მკურნალობა დასჭირდა, თუმცა კი, აწონვა არ ჩაშლილა.

ჯონსს 47 მოგება, ერთი დისკვალიფიკაციით წაგებული ბრძოლა და 38 ნოკაუტი უდევს პირად ზანდუკში. ბოლო ცამეტი ბრძოლა მოუგია მონტელ გრიფინთან იმ სამწუხარო დისკვალიფიკაციის შემდეგ. მან ბოლოს შემოდგომის პირველ თვეს იჩხუბა და კლინტონ ვუდსი გაასილაქა.

რუისი 31 წლისაა და ორი წელიწადია, ასოციაციის ჩემპიონია ჰოლიფილდის ორგზის ძლევის ხარჯზე. მისი შედეგი 38 მოგება, 4 წაგება და 1 ფრეა. რანგზე ივლისის შემდეგ არ ასულა და მაშინაც მეტოქე კირკ ჯონსონის დისკვალიფიკაციის წყალობით იმარჯვა რახან ეს უკანასკნელი ქამარსქვემოთ უტევდა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# 4:0! შვეიცარიელებმა ახალზელანდიელებს აფრა დაუფხრიწეს

**გმირობის** ტოლფასი ამბავია — მთიელებმა ხელი შტურვალს მოავლონ, ბაგირი მოქაჩონ, აფრა ოკეანის ციური ნაკადებით აავსონ, მსოფლიოში საუკეთესო იახტა ორთაბრძოლაში გამოიწვიონ და მისსავე წყლებში სასტიკად დაამარცხონ...

...თუკი მსოფლიოში უძველესი სპორტული შეჯიბრის, 152-წლოვანი ამერიკის თასის წლევანდელ ფინალს ზლაპრად მოვყვებით, მაშინ შვეიცარიული ნავის „ალინგის" ეკიპაჟი მითიურ ლეგენდარულ უნდა მოვიხსენიოთ.

რეალობა კი ასეთია: 1995 და 2000 წლებში „ახალი ზელანდიის" გამჩემპიონებელი რასელ კოტსი შვეიცარიელ მილიონერ ერნესტო ბერტარელის ნავ „ალინგის" შკიპერად ლაუდგა და აი, ამათი კოხტა ნავი ჩემპიონ კოტსის ყოფილ ნავს „ახალ ზელანდიას" 4:0 ამარცხებს. მეოთხე ეტაპი კარგა ხანი ჭიანურდებოდა, 0:3 ჩამორჩენილი (ბრძოლა 5 გამარჯვებამდეა) ახალზელანდიელები ფეხს ითრევდნენ და აზრზე მოსვლას ცდილობდნენ, მაგრამ ალბათ ასე გონსმოუსვლელად დამარცხდებიან კიდეც. შვეიცარიელებმა ჩემპიონებს ყველაფერში აჯობეს, ნაოსნობაში და ნავოსნობაშიც, ანუ ნავის მომზადებაში. უხეიროდ ნავგამართულ ახალზელანდიელებს ანძა გასტეხიათ და ეს უკვე მარცხია. ვისი იმედი ჰქონდათ მათ? ნუთუ ამ ლოყებღაჟღაჟა რძენასვამი ჭაბუკის დინ ბარკერის, აგერ მარჯვენა კუთხეში თავი უიმედოდ რომ ჩაუქინდრავს? რას დააკლებდა ეს ლაწირაკი ქარდაკრულ ზღვის მგელ რასელ კოტსს? ჰოდა, ვერც ვერაფერი დააკლო.

ჩვენც მივულოცავთ შვეიცარიელებს და მათ ახალზელანდიელ კაპიტანს. ესენი გმირებად მოხსენიებას არა და ქებას კი ნამდვილად იმსახურებენ. მალე ამერიკის თასს მოიგებენ და პირველად ჩაიტანენ ბებერ კონტინენტზე.



REUTERS





REUTERS

კრიკეტი მილიონების სიხარულია

# პატივი ეცი სხვის გრძნობა-კრიკეტს

ახლა ჩვენ რომ კრიკეტის წესების ახსნას მოვყვეთ, დაგვცინებენ. დაცინვისა კი არ გვეშინია და არც მოვერიდებით, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა რომ სამხრეთ აფრიკაში კრიკეტი მიმდინარეობს, ის ერთიასად სჯობს იმ ფეხბურთს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ითამაშება.

კრიკეტის რაობა არაერთგზის აუხსნიათ მის ნამდვილ მცოდნეებს ქართულ მედიაში და ჩვენ კი შეგვიმჩნევია, რომ სპორტის მოყვარულები ალმაცერად უყურებენ ამ თამაშს, რომლის გაგებაც პირდაპირ ნიშნავს მის მოწონებას.

მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებიც მიეკუთვნებიან ბრიტანეთის თანამეგობრობას, კრიკეტი ისეთივე დაფასებული სპორტია, როგორც, ვთქვათ, ჰოკეი ჩრდილოეთში. ბევრი ქვეყანაში კრიკეტი უტოლდება რელიგიურ გრძნობას, ხოლო როცა ტელევიზორში და რადიოში კრიკეტს გადმოსცემენ, ქალაქებში ყოველგვარი სამუშაო წყდება და ინდონი, ოზნი, პაკნი, აფრიკანერნი, ლანკელნი, ანგლნი და კარიბელნი ერთი ფიქრით არიან შეპყრობილნი — თვალი და ყური ადევნონ მსოფლიოს ყველაზე ხაგრძლივი (კლასიკურად ხუთ დღესაც მოითვლის ერთი მატჩი) გუნდური თუ თითოკაცა თამაშის მიმდინარეობას.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი ახლა ხდება მსოფლიოში, რადგან სამხრეთი აფრიკის ქალაქების მინდვრებზე კრიკეტის მსოფლიო თასისთვის ბრძოლაა გახურებული.

აქ, სამწუხაროდ, ასევე ვერ მოვიტანთ თასის სტატისტიკასა და საინტერესო ამბებს, თუმცალა, მოგიწოდებთ, გაერკვეთ ამ თამაშში, ისე მაინც, ვითარც ერკვევით ჭადრაკში, ჩოგბურთსა და ჰოკეიში.



REUTERS

ბჭეთა მცველმა იმარჯვა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge